ნეოლამარკიზმი - ევოლუციური მოძღვრებაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული სხვადასხვა მიმართულებების ერთობლიობა. ნეოლამარკიზმი აღიარებს როგორც დარვინიზმის ცალკეულ დებულებებს, ასევე შეძენილი ნიშან-თვისებების დამემკვიდრებას და უარყოფს ბუნებრივი გადარჩევის შემოქმედებით როლს. ნეოლამარკიზმი აურთიანებს მექანოლამარკიზმს, ორთოლამარკიზმს და ფსიქოლამარკიზმს.

ნეოლითი (ბერძნ. neos ახალი, lithos ქვა) - ოგევე ახალი ქვის ხანა.

თანამედროვე კაცობრიობის განვითარების ქვის ხანის ბოლო ეპოქა (5000-10000 წლის წინათ). ნეოლითში ხდებოდა ქვის ნაკეთობების დამუშავების სრულყოფა გამოჩნდა თიხის ჭურჭელი, ათვისებულ იქნა საფეიქრო საქმე და სხვა.

ნეოლოგიზმი (ბერძნ. neos ახალი, logos სიტყვა, ismus მდგომარეობა) - რომელიმე ენაში ახალი სიტყვის ან სიტყვათმწიფეობის გამოჩენა.

ნეოპროფიტიზმი (ბერძნ. neos ახალი, morphé ფორმა, ismus მდგომარეობა) - სახეობათა ახალი ფორმების წარმოქმნა-განვითარება.

ნეონატალური (ბერძნ. neos ახალი, natal რაც დაბადებას ეხება) - ნაყოფის დაბადებიდან 30 დღის პერიოდი. ოგევე ახალშობილობის პერიოდი.

ნეონტოლოგია (ბერძნ. neos ახალი, on, ontos არსება, logos მოძღვრება) - ბიოლოგიური მეცნიერებების კომპლექსი, რომლებიც სწავლობენ თანამედროვე ორგანულ სამყაროს.

ნეოპათია (ბერძნ. neos ახალი, pathos ტანჯვა) - აუდმყოფობის გართულება, ახალი აუდმყოფობა.

ნეოპლაზმა (ბერძნ. neos ახალი, plasma წარმონაქმნი) - ახალწარმონაქმნი ახალი ქსოვილის ან სიმსივნის წარმოქმნა ტერმინი ხშირად გამოიყენება ავთვისებიანი წარმონაქმნების აღსანიშნავად.

ნეოტენია (ბერძნ. neos ახალი, tenio მჭიდვ. ეგრძელება) - ზოგიერთი ცხოველის ლარვების უნარი მაღწიოს სქესობრივ სიმწიფეს და გამრავლდეს ამის კლასიკური მაგალითია აქსოლოტლი, ზოგიერთი ობობასნაირი და მწერი, ჭიები. ნეოტენიის შემახვევაში, არც თუ იშვიათად, იკარგება შემდგომი მეტამორფოზის (იხ.) უნარი.

ნეოფიტები (ბერძ. neos ახალი, phytos მცენარე) - ადგილობრივ ფლორაში ახლად გაჩენილი სახეობა. აღნიშნული ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ რაიონში ახლად შეჭრილი სარეველების და ინტროდუცენტების (იხ. ინტროდუქცია) აღსანიშნავად.

ნერვიზმი (ლათ. nervus ნერვი, ბერძ. ismus მდგომარეობა) - ფიზიოლოგიისა და მედიცინის მიმართულება, რომლის თანახმადაც ნერვულ სისტემას მთავარი როლი მიუძღვის ცხოველებისა და ადამიანის ცხოველქმედების რეგულაციაში, როგორც ნორმაში, ასევე პათოლოგიების შემთხვევებში აღნიშნული ცნება შემოტანილია იპპკლოპის მიერ.

ნერვული იმპულსი (ლათ. nervus ნერვი, impulsus ბიძგი, სწრაფვა) - ნერვული ბოჭკოებით გაერჯვლებული აგზნების ტალღა, რაც ელინდება ელექტრული, იონური, მექანიკური, თერმული და სხვა ცვლილებების სახით. მისი საშუალებით ხორციელდება ინფორმაციის გადაცემა პერიფერიული რეცეპტორული დაბოლოებებიდან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, ხოლო აქედან, ეფექტორებზე ნერვული იმპულსი წარმოიქმნება ან სულ ან არაფრის" კანონის (იხ.) მიხედვით ანუ იგი არ არის დამოკიდებული გამღიზიანებლის ძალასა და ხარისხზე და ნახტომისებურად ერჯვლდება.

ნერვული სისტემა (systema nervosum) - ადამიანისა და ცხოველების სპეციალიზებული წარმონაქმნების (ნეორონების და სხვა სტრუქტურების) მორფოლოგიური და ფუნქციური ერთობლიობა, რომელსა საშუალებითაც ხდება ორგანიზმისა და სისტემების გაერთიანება და მოქმედი გამღიზიანებლის აღქმა. ნერვული

სისტემის ძირითადი ფუნქციური საეისებურება რეფლექსი, რაც დაკავშირებულია აგზნების ნერვულ რკალზე გაერჯვლებასთან და შეკაეების პროცესთან ნერვული სისტემის განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია ადამიანში, საეის ტენის ქერქის გაზრდასა და გართულებასთან დაკავშირებით. მაღალორგანიზებულ ორგანიზმებში ნერვული სისტემა იყოფა ცენტრალურ და პერიფერიულ ნაწილებად.

ნერვული სისტემის ტიპები - ნერვული სისტემის შექმნილი ან თანდაყოლილი თეისებების ერთობლიობა, რაც განაპირობებს გარემოს ზემოქმედებაზე განსხეეებულ ქცევას და რეაქციებს. იპპკლოპმა გამოყო ნერვული სისტემის 4 მთავარი ტიპი: 1. ძლიერ გაუწონასწორებული ტიპი; 2. ძლიერ გაწონასწორებული, ინერტული ტიპი; 3. ძლიერ გაწონასწორებული, მოძრავი ტიპი; 4. სუსტი ტიპი. ადამიანისათეის განსხეეებენ აგრეთვე აზროვნების ტიპს, მხატვრულ ტიპს და საშუალო ტიპს.

ნერვული ძსოვილი (textus nervosus) - შედგება უჯრედებისაგან, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან იმპულსების გასატარებლად. მათ ნეორონები ეწოდებათ. მათი ფორმა მუდმიანადაა დამოკიდებული იმ ფუნქციაზე, რომელსაც ისინი ასრულებენ. ყოველ ნეორონს გააჩნია სხეული - გაფართოებული ნაწილი, სადაც ლოკალიზებულია ბირთვი და ორი ან მეტი გამონაზარდი, მორჩი (აქსონი და დენდრიტები). ეს გამონაზარდები შედგება ციტოპლაზმისაგან და დაფარულია პლაზმური მემბრანის. ზოგიერთი გამონაზარდი (აქსონი) ძალზე გრძელია. მაგ., ის მორჩები, რომლებიც ზურგის ტენიდან ხელის ან ფეხისაკენ მიემართებიან, სიგრძის

შიძლება 1 მეტრს აღწევდნენ. აქსონები ატარებენ იმპულსს ნეირონის სხეულიდან პერიფერიისაკენ, ხოლო დენდრიტები - უჯრედის სხეულისაკენ. ერთი რომელიმე აქსონისა და მეორე ნეირონის დენდრიტს შორის კონტაქტის ადგილს სინაფსი ეწოდება სინაფსი იმპულსი შიძლება გადაეცემა მხოლოდ აქსონიდან დენდრიტზე.

ნერწყვი (saliva) - სანერწყვე ჯირკვლების სეკრეტი. შედგება წყლისა და მასში გახსნილი ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან. ნერწყვს გააჩნია სუსტი მჟავე ან ტუტე რეაქცია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭმლის მონელებაში. მის შემადგენლობაში შედის საჭმლის მომწელებელი ფერმენტები და ლიზოციმი (იხ).

ნესტარი - ზოგიერთ მწერის (მაგ. მუშა ფუტკრის) თავდასაცავი ორგანო, რომელიც წარმოადგენს შხამიანი აპარატის მზებელტაე ნაწილს. მას საწრეტელსაც უწოდებენ.

ნეფრიდიები (ბერძ. nephros თირკმელი) - უხერხემლოებში გამოყოფი ორგანოებია. ისინი წარმოადგენენ დატოტილ ეპითელიურ არხებს ან არხების სისტემას.

ნეფრიტი (ბერძ. nephros თირკმელი, itis ანაიება) - თირკმლის ანაიება არჩევენ დიფუზურ გლომერულონეფრიტს და კროიან ნეფრიტს.

ნეფროზი (ბერძ. nephros თირკმელი, osis მდგომარეობა) - თირკმლის დაავადებების საერთო სახელწოდება, რომელიც ხასიათდება თირკმლის მილაკების დაზიანებით.

ნეფროლითიაზი (ბერძ. nephros თირკმელი, lithos ქვა) - თირკმლის მენჯასა და შარდის ბუშტში, უფრო იშვიათად კი შარდსაწვესასა და თირკმლის მილაკებში ქვების წარმოქმნა.

ნეფროლოგია (ბერძ. nephros თირკმელი, logos მიძღვრება) - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს თირკმელების დაავადებებს, აგრეთვე აღნიშნული დაავადებების დიაგნოზის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს.

ნექტარი (ბერძ. nectar) - 1.ძველებრივად მითოლოგიაში ღმერთების სასმელი, რაც მათ ანიჭებდა მუდმივ ახალგაზრდობასა და სილამაზეს. 2. მცენარის ყვავილის ტკბილი წვენი.

ნექტონი (ბერძ. nectos მცურავი) - პულგაღლის (იხ) წყლებში ბინადარი აქტიურად მცურავი ორგანიზმების ერთობლიობა. აღნიშნულ ორგანიზმებს ძალუბთ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა და დამოუკიდებლად გადაადგილება დიდ მანძილებზე ნექტონს მიეკუთვნებოან თევზები, ეშმაისნარიები, წყლის გველები, კუები და სხვა.

ნეოთერაპიათა ცვლა - იგივე მეტაბოლიზმი (იხ).

ნეოტოზი (ფრანგი დიპლომატის და მცენარეების შემგროვებლის, შნიტონს სახელის მიხედვით, რომელმაც 1560 წელს პირველად გაგზავნა საფრანგეთში თამბაქო) - ნარკოტიკული ნივთიერება, აღკალოიდა, რომელსაც შეიცავს თამბაქოს ფოთლები. ზოგჯერ იყენებენ მცენარეების მანებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნეპრისის ქარი - იგივე პოდაგრა (იხ).

ნემფა (ბერძ. nympa მატლი) - 1. ფეხსახსრიანების ინდივიდუალური განვითარების პრიმაგინალური სტადია ახასიათებთ ტკაებს და ყველა მწერს არასრული მეტამორფოზით. 2. ძველებრივად მითოლოგიაში - ქალღმერთი.

ნემფოზი (ბერძ. nympa მატლი, osis მდგომარეობა) - იგივე არასრული

მეტამორფოზი ნიშნებს არ ახასიათებს ჭურის სტაფილა ნიშნები გარეგნულად, როგორც წესი, ემსგავსებიან მოზრდილ ინდიეთილს, მაგრამ არა აქვთ სასქესო აპარატი, ხოლო ფრთოსან მწერებში, ფრთები იმაგოსა (იხ.) და ნიშნების ცხოვრების წირი, კვების ხასიათი განსხვავებულია ნიშნოზი ახასიათებთ ტკიპებს, ტარაკნებს, ტილებს და ა.შ.

ნომფოზანია (ბერძნ. nymphe ქალწული, mania სიგიჟე) - ქალის ავადმყოფურად გაზრდილი სექსუალური მოთხოვნილება.

ნორი (*Allium sativum*) - ერთწლიანი მცენარეა, სწორმდგომი ღეროთი. ნორის ბოლქვებიდან გამოყოფილ ფიტონციდებს იყენებენ მედიცინაში როგორც ბაქტერიდურ საშუალებას, საჭმლის მომწელებელი არხის სეკრეტორული ფუნქციისა და პერისტალტიკის გასაძლიერებლად, აგრეთვე ჰაერტონიისა და ათეროსკლეროზის შემსახვევაში. ნორი შეიცავს ცილებს, ციტიამინს, პოლისაქარიდებს, ვიჯრუბებს (სწორედ ეს აძლევს ნორს სპეციფიკურ სუნს), მზრად ნიეთერებებს და სხვა.

ნორმანა (ნანსკრიტზე - ჩაქრობა, დაშრება) - სიმშვიდის ნეტარი მდგომარეობა, ყოველგვარი ცხოვრებისეულიდან სრული გამოსრევა.

ნისტაგმი (ბერძნ. nystagma ძილი, თვლება) - თვალის კაკლის უნებლიე კრუნჩხვითი მოძრაობები.

ნიტრატიზმი - აზოტმყავა მარილები ნიტრატების ნიტრიტებად გარდაქმნისას, ამ უკანასკნელთ, შესაბამის სუბსტრატებთან რეაგირების გზით, ძალუბთ წარმოქმნან კანცეროგენური ნიტროზამინები და ნიტროზამიდები. აღნიშნული რეაქციები არ მიმდინარეობს ასკობინის მჟავის (C ვიტა-

მინის) მონაწილეობით, რადგანაც აღნიშნული ვიტამინი თრგუნავს ნიტრატების ნიტრიტებად გარდაქმნას.

ნიტრიზმი (ლათ. nitrogenium აზოტი, facio ვაკეებ) - ზოგიერთი ბაქტერიის მიერ ამონიუმის მარილების ნიტრატებად გარდაქმნა, რაც უზრუნველყოფს მცენარის აზოტოვან კვებას.

ნიშანბი (ფრანგ. nuance) - ელფერი, ძლიეს შესამჩნევი გადასელა (წარმოქმნილი სიტყვის ინტონაციაში, სიტყვის მნიშვნელობაში, მუსიკალურ ბგერებში, საღებავებში და სხვა).

ნიქტალზია (ბერძნ. nyx ღამე, algos ტკივილი) - ღამის, ძილის პროცესში განვითარებული ტკივილი.

ნიჰილიზმი (ლათ. nihil არაფერი) - ყველაფრის უარყოფა, საყოველთაო ნორმების იგნორირება.

ნობელიის პრემია - ა.ნობელიის (1833-1895), შვედი ინჰინის, გამოგონებლისა და მეწარმის მიერ დაარსებული პრემია ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიისა და მედიცინის, ლიტერატურისა და მშეიდობის დარგებში განსაკუთრებული წარმატებისათვის. 1968 წელს შვეციის სახელმწიფო ბანკმა გამოყოფა სანხა ნობელის პრემიისათვის ეკონომიკის დარგშიც დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია ტარდება ყოველი წლის 10 დეკემბერს, ანობელის გარდაცვალების წლისსავეზე ერთი დარგის პრემია პიროვნებას მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიეკუთვნოს კატეგორიულადაა აკრძალული ლაურეატის მიერ პრემიის სახით მიღებული თანხის დაბანდება წარმოებაში ანდა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ფულის მოგებისა და შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს და ა.შ. ფიზიოლოგიასა და მედიცინაში პირველი ნობელის პრემია მიიღო გერმანელმა ებმარინბმამ 1901 წელს

დიფუზიის საწინააღმდეგო შრატის შექმნისათვის.

ნოდალური (ლათ. nodus კვანძი) - კვანძოვანი, კვანძთან დაკავშირებული.

ნოსემატოზი - შწერების, თევზების, ამფიბიებისა და სხვა ცხოველების დაავადება, რომელსაც იწვევს უმარტივესების ტიპის, კნიდოსპორიდიების კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი, სახელდობრ. ნოსემა (Nosema). ცნობილია Nosema bombycis, რომელიც აავადებს თუთიის აბრეშუმხვევიას, აგრეთვე Nosema apis, რომელიც ფუტკარს აავადებს.

ნოსოგოგრაფია (ბერძ. nosos ავადმყოფობა, ge დედამიწა, grapho აღწერა) - დაავადებების გეოგრაფია ანუ გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმების დაავადებების გეოგრაფიული გაერთიანების კანონზომიერებებს.

ნოსოგრაფია (ბერძ. nosos ავადმყოფობა, grapho აღწერა) - დაავადებების აღწერა.

ნოსოლოგია (ბერძ. nosos ავადმყოფობა, logos მოძღვრება) - მოძღვრება დაავადებათა და მათი კლასიფიკაციის შესახებ.

ნოსოფობია (ბერძ. nosos ავადმყოფობა, phobos შიშ) - თვით ნოსომანია. მძიმე, მოუარჩენელი სენით დაავადების შიში.

ნომა (ბერძ. nome გაერთიანება, ამოკმა) - განგრეხული ხასიათის ანუ მძიმისადად უეთსარდებთი ბავშვებს.

ნომალიზმი (ბერძ. nomas მომსახარე, ismus მდგომარეობა) - დაუოკებელი ლტოლვა მომსახარეობისა და ხეტილისადმი ცხოველების მომსახარე წესი.

ნომენკლატურა (ლათ. nomenclatura სახელების ჩამოწერა) - სახელ-

წოდებების ერთიანობა ან მათი სიის შედგენა, რაც გამოიყენება მეცნიერებაში, ტექნიკაში, ხელოვნებაში და სხვა.

ნომინაცია (ლათ. nominatio) - დასახელება.

ნომოგენეზი (ბერძ. nomos კანონი, genesis წარმოშობა) - ლბერბის მიერ 1922 წელს წამოყენებული ევოლუციური კონცეპცია ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების შინაგანი დააროგრამების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დარჩინის თეორიას ბუნებრივი გადარჩევის შესახებ. ნომოგენეზი ამკოდრება პრინციპს ცოცხალი სამყაროს თავდაპირველი მიზანშეწონილობის შესახებ, რაც ბერგის აზრით განპირობებული იყო პროტოპლაზმის ცილების სტერეოქიმიური თვისებებით.

ნონსენსი (ინგლ. nonsense უაზრობა, აბსურდი) - რაიმე აზრს მოკლებული იდეა, საუბარი, სამეცნიერო შრომა. გადაწყვეტილება.

ნოსოფორი (ბერძ. noos გონება, sphaire დისკო) - ბიოსფეროს ახალი მდგომარეობა, რასაც განსაზღვრავს ადამიანის გონიერული მოქმედება. აღნიშნული ცნება შემოთავაზებულია ე.ლერნასა და კ.ტარბის (1927), აგრეთვე ვ.პერნალსკის მიერ (XX 30-40-იან წლებში). ნოსოფორი სიტყვისიტყვი, ნიშნავს „მოაზროვნე გარისს“ ანუ გონიერების სფეროს.

ნორმა (ლათ. norma წესი, კანონი) - ნიმუში, საზომი, წესი. რაიმეს დადგენილი ზომა, რაოდენობა, მოცულობა.

ნორმოციტიზმი (ლათ. norma წესი, კანონი, ბერძ. kytos უჯრედი) - ერთიანი დული რიგის არადიფერენცირებული უჯრედები. განასხვავებენ ბაზოფილურ, პოლიქრომატოფილურ და ოქსიფილურ ნორმოციტიზმს.

ნოსტალგია (ბერძ. nostos სახ-

ლში დაბრუნება. *alios* ტკივილი, ტან-
ჯვან) - სევედა სამშობლოსადმი. სამშო-
ბლოს საოცარი მონატრება, რაც
ახასიათებთ ენდემური ფსიქოლოგიის
ერების შეილება.

ნოტაბენი (ლათ. *nota bene* კარგად
შეამჩნიე) - წიგნის ან რაიმე დოკუ-
მენტის ტექსტში შეტანილი შენიშვნა,
სქოლიო იმ ადგილთან ახლოს, რო-
მელზეც სურთ გაამახვილონ განსა-
კუთრებული ყურადღება.

ნოტოტრამები (ბერძნ. *notos*
ზურგი, *tema* ხერხელი) - ტრაბიკულ
ამერიკაში ბინადარი ბაყაყის გვარი,
რომელთა მდედრებს ზურგზე აქვთ
ჯიბისმაგვარი ჩანთა, სადაც ვითარდუ-
ბან მათი კერძები და საეკომბალები.

ნოცა (ლათ. *nocera* ენების მიყენება)
- მანე ეპიტორი (ტრავმა, შხამი და
სხვა).

ნუდიზმი (ლათ. *nudus* შიშველი,
ბერძნ. *ismus* მდგომარეობა) - საზოგა-
დოებრივი მოძრაობა, რომელიც აღიარ-
ებს შიშველი სხეულის კულტს.

ნუკლეაზები (ლათ. *nucleus* ბირ-
თვი) - ფერმენტები, რომლებიც შლიან
ნუკლეინის მჟაეებს. მონაწილეობენ
ორგანიზმისათვის უცხო ნუკლეინის
მჟაეების ელიმინაციაში, თვისი ორგა-
ნიზმში ნუკლეინის მჟაეების სინთეზის
და დაშლის რეგულაციაში და ა.შ.
ნუკლეაზებს იყენებენ ნუკლეინის
მჟაეების სტრუქტურის კვლევისათვის.
ზოგიერთი ვირუსული ეტიოლოგიის
დაავადების მკურნალობაში, აგრეთვე
გენეტიკურ, კერძოდ გენურ ინჟინე-
რიაში.

ნუკლეინის მჟაეები (ლათ. *nuc-
leus* ბირთვი) - მაღალსპეციფიკური პო-
ლიმერები, რომლებიც უმნიშვნელო-
ვანეს როლს ასრულებენ ცილის ბო-
სინთეზში, გენეტიკური ინფორმაციის
რეალიზაციაში და სხვა მნიშვნელოვან

სასიცოცხლო პროცესებში. ისინი
შედგებიან მონომერების - პოლინუკლე-
ოტიდების დიდი რაოდენობისგან.
განასხვავებენ დეზოქსირიბონუკლეინის
და რიბონუკლეინის მჟაეებს (იხ.).
ნუკლეინის მჟაეები 1870 წელს გამოყო
შეიცარებლმა ფ. მიშერმა.

ნუკლეოზიდი (ლათ. *nucleus*
ბირთვი) - ნუკლეოტიდის ორგანული
ნიუთიერებები, რომელთა მოლეკულები
შედგება ერთმანეთსან ე.წ. გლიკოზი-
დური კავშირებითა შეერთებული
აზოტოვანი ფუძისა და შაქრისაგან.
ნუკლეოზიდთან ფოსფორის მჟაეის
მიერთებით მიიღება ნუკლეოტიდი (იხ.).

ნუკლეოიდი (ლათ. *nucleus* ბირ-
თვი, ბერძნ. *eidos* სახე) - 1. პროკარიო-
ტების, კერძოდ, ბაქტერიების დნმ-ს
შემცველი ზონა, რომელსაც გარსი
არ გააჩნია. 2. ვირუსებში სფეროს ან
ცილინდრის ფორმის, ეკვატორულად
სუ ექსცენტრულად ლოკალიზებული
უბანი, რომელშიც ვირუსის ნუკლეინის
მჟაეაა (დნმ ან რნმ).

ნუკლეოპაუსიდი (ლათ. *nucleus*
ბირთვი, *capsa* სათაესი, ყუთი) - ვირუსის
კაფსიდი (იხ.) მასში ლოკალიზებული
ნუკლეინის მჟაეით (გენომით).

ნუკლეოპლაზმა (ლათ. *nucleus*
ბირთვი, ბერძნ. *plasma* გამოძერწილი,
გაფორმებული) - იგივე კარიოპლაზმა
(იხ.).

ნუკლეოპროტიდები (ლათ.
nucleus ბირთვი, *proteid* ცილა) -
რთული ცილა, რომელშიც არაცილო-
ვან კომპონენტს წარმოადგენენ დნმ
ან რნმ. ნუკლეოპროტიდები ქრომა-
ტინის საფუძველია.

ნუკლეოტიდი (ლათ. *nucleus* ბირ-
თვი) - ნუკლეინის მჟაეის შემადგენელი
კომპონენტი. იგი შედგება აზოტის
ფუძისაგან, ფოსფორის მჟაეის ნაშთისა
და დეზოქსირიბოზის ან რიბოზისაგან.

ნულისომია (ლათ. nullus არაეი-
თარი, არარსებითი, ბერძნ. soma სხე-
ული) - გენომური მუტაციის ტიპი, რაც
ხასიათდება ორგანიზმის უჯრედებში
ერთი ან რამოდენიმე წყვილი ქრომო-
სომის ნაკლებობით. უმაღლეს ცხო-
ველებში ნულისომია ორგანიზმის
დაღუპეას იწვევს.

ნუტაცია (ლათ. nutatio რხევა,
ქანაობა) - მცენარის მზარდი ორგანო-
ების ბრუნვისით მოძრაობა, რაც გამო-
წვეულია ორგანოს მეტად სწრაფი
ზრდით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.
შესამჩნევია მცენარის ღეროს კენწე-
როებზე. განსაკუთრებით კი მოზარდ
პწკალებსა და მხვიარა ღეროებზე.
ეს მოვლენა პირველად ჩ.დარვინმა
აღწერა და ცირკუმნუტაცია უწოდა.
2.საყვარის უნებლიე მოძრაობა, კანტურა.

ნუტრიენტები (ინგლ. nutrient
საკვები ნივთიერება) - საკვები ნივთიე-
რებები, რომლებიც შეიწოვებიან ნა-
წლავების საშუალებით. ეს ნივთიე-
რებები წარმოიქმნებიან საჭმლის
მონელების პროცესში, რასაც ხელს
უწყობენ ნაწლავის ნორმალური
ფლორის სიმბიოზური მიკროორგა-
ნიზმები.

ნუში (*Amygdalus communis*) - ხე ან
ბუჩქია მწარე ნუში შეიცავს გლიკო-
ზიდ ამიგდალინს, რომელიც ძლიერ
შხამიანია, იწვევს მოწამელას ნუშის
ზეთი გამოიყენება როგორც მსუბუქი
სასაქმებელი, აგრეთვე მალამოების
დასამზადებლად არქივენ ნუშის ეარო-
აციებს: amara - მწარე ნუშს და dulcis
- ტკბილ ნუშს.

ნუცელუსი (ლათ. nucella თხილი)
- თესლკვირტის ბირთვი. თესლიან
მცენარეებში თესლკვირტის მრავალ-
უჯრედიანი სხეული, რომელიც დაეა-
რულია ერთი ან ორი საფარველით
(ე.წ. ინტეგუმენტებით). ფარულსაქსლო-

ვანების ნუცელუსში მოთავსებულია
ჩანასახოვანი ტომსიკა კვერცხუჯრე-
ლით, რომელიც განაყოფიერების შემდეგ
იძლევა ჩანასახს.

ო

ოაზისი (ბერძნ. oasis) - უდაბნოში
არსებული ტერიტორია, სადაც
საკმარისი რაოდენობითაა წყალი
(წყაროები, გრუნტის წყლები,
მდინარეები) და მცენარეული საფარი.

ობეზიტასი (ლათ. obesitas) - იგივე
სიმსუქნე ორგანიზმში ცხიმის ჭარბი
დაგროვება, რაც განპირობებულია
ნივთიერებათა ცვლის დარღვევითა.

ობიექტი (ლათ. objectum საგანი)
- საგანი, რომელიც წარმოადგენს
გარეგანი, მატერიალური სამყაროს
ნაწილს ადამიანის, სუბიექტის შემეც-
ნების საგანი ის, რასაც შეეისწავლით,
შეეიცნობთ.

ობიექტივი (ლათ. objectivus
სასაგნე) - შესასწავლ ობიექტებთან
კონტაქტში მყოფი ოპტიკური ხელსაწ-
ყოს ნაწილი, რომელიც შედგება ერთი
ან რამდენიმე ლინზისაგან.

ობის სოქოპები - მიკროსკოპული
სოკოები, რომლებიც წარმოქმნიან ობს
ორგანული სუბსტრატების (საკვები
პროდუქტების, ქაღალდის, ტყავის და
სხვა) ზედაპირზე მიეკუთვნებიან სხვა-
დასხვა სისტემატიკურ ჯგუფებს:
ზოგომიცეტებს (მუკორი) და არასრულ
სოკოებს (ასპერგილოსი, პენიცილოში
და სხვა) ახასიათებთ საპათო მიკოლო-
უმის ინტენსიური განვითარება იწვევენ
პროდუქტების გაფუჭებას, აგრეთვე
მცენარეების ზოგიერთ, დაავადებას.
ზოგიერთი მათგანი (მაგ. Aspergillus

flavas) გამოყოფს ძლიერ ტოქსინებს. გამოიყენებინ ფერმენტების ორგანული მკავეების, ანტიბიოტიკების და ვიტამინების მისაღებად.

ობლიგატური (ლათ. obligatus ვაეაღდებულებ) - ობლიგატური პარაზიტი - აბსოლუტური, ნამდვილი პარაზიტი, რომელსაც პარაზიტიზმის და ცოცხალი უჯრედის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ობლიგატური პრეკანცური-აბსოლუტური კიბოსწინარე მდგომარეობა ანუ ყველა ის მდგომარეობა, რომელიც აუცილებლად გადადის სიმსივნურ პროცესში.

ობლიტერაცია (ლათ. obliteration წაშლა, მოსპობა) - სხეულის სხვადასხვა ღრუს, მილის ან სისხლძარღვის შეზრდა დახშობა ეს პროცესი ხშირად ეითარდება ანთების, ენდარტერიიტის და სარომბის წარმოქმნის შედეგად.

ობობასნაირები (Arachnoidea) - ფეხსახსრიანთა ტიპის ერთ-ერთი კლასია. აქეთ ოთხი წყვილი ფეხი და არ გააჩნიათ ულვაშები სუნსაქვევ ტრაქეებით და ფილტვის ტომსიკების. ობობასნაირების კლასში შედის: ობობების, მორიელების და ტიკების რიგები.

ობსერვატორია (ლათ. observare დაკვირება) - სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ატარებს სისტემატურ ასტრონომიულ, მეტეოროლოგიურ, სეისმოლოგიურ და სხვ. სახის კვლევებს.

ობსერვატორია (ლათ. observare დაკვირება) - 1. ავადმყოფზე დაკვირება. 2. ზოგიერთ დაავადებაზე (მაგ. ქოლერაზე ან შავ ჭირზე) საეჭვო პირთა იზოლაცია.

ობსესია (ინგლ. obsession) - აკეიტებული იდეა დაუკლებელი ღტოლეა.

ობსკურანტიზმი (ლათ. obscurans დამბნელებელი) - მტრული დამოკიდებულება განააღებისადმი, პროგრესი-

სადმი; ბნელეისის მოციქული.

ობსტრუქცია (ლათ. obstructio დახშობა, დაბრკოლება) - 1. პროტესტის სახე, ბრძოლის მწვავე, აგრესიული მეთოდი. 2. მედიცინაში - შეგუბება, სანააჟურის დახშობა, გაუაღლობა. მაგ. ობსტრუქციული ბრონქიტი.

ობტურაცია (ლათ. obturo ვაცობ) - ნაწლავის, სისხლძარღვის, ლიმფური საღინრის და სხვ. დახშობა ზეწოლით.

ოდიოზური (ლათ. odiosus საძულებელი, საძაგელი) - უსიამოვნო, არასასურველი ადამიანი, რომელიც იწვევს უკიდურესად უარყოფით განწყობას.

ოდონტალგია (ბერძ. odus ოდონტოს კბილი, algos ტკივილი) - კბილის ტკივილი.

ოდონტოლოგია (ბერძ. odus ოდონტოს კბილი, logos მოძღვრება) - კბილების და მათი მკურნალობის მეოიდების შემსწავლელი მეცნიერება.

ოდონტომა (ბერძ. odus ოდონტოს კბილი, oma სიმსივნე) - კბილის ქსოვილებიდან განეისარებული კეთილსაისებობიანი სიმსივნე.

ოდოროლოგია (ლათ. odor სუნი, ბერძ. logos მოძღვრება) - მეცნიერება სუნის შესახებ ტერმინ უფრო ხშირად გამოიყენება კრიმინალურ მედიცინაში.

ოვისტები (ლათ. ovum კვერცხი) - პრეფორმიზმის (იხ.) მიმდევრების ერთი ნაწილი, რომელთა აზრითაც მომავალი ორგანიზმი კვერცხუჯრედშია მოსაესებული.

ოვობამია (ლათ. ovum კვერცხი, ბერძ. gamos ქორწინება) - დიდი ზომის, უძრავი კვერცხუჯრედის შერწყმა პატარა მოძრავ სპერმატოზოიდან.

ოვობენეზი (ლათ. ovum კვერცხი, genesis წარმოშობა) - ქალის სასქესო უჯრედის (კვერცხუჯრედის) წარმოქ-

მნისა და განეისარების პროცესი საკერცხეში.

ოვობონიბი (ლათ. ovum კერცხი, ბერძ. gone შსამომავლობა, საობა) - უმწიფარი მდედრობითი სასქესო უჯრედები, რომელთაც გააჩნიათ ქრომოსომების დიპლოიდური კომპლექტი. განეისარების ადრეულ სტადიებში ოვოონები განიცდიან თანმიმდევრულ მიტოზურ ცვლილებებს. მესამე თვისათვის ოვოონები იწყებენ ოვოციტებად (იხ.) გარდაქმნას.

ოვოლობია (ლათ. ovum კერცხი, logos მოძღვრება) - ორნიოლოგიის (იხ) ნაწილი, რომელიც სწავლობს ფრინველთა კერცხებს. იგივე ოოლოგია.

ოვოსკოპი (ლათ. ovum კერცხი, ბერძ. skopco ეხედაე) - ხელსაწყო ელექტრონათურებით, რომელშიც განისაზღვრება საინკუბაციო კერცხის სიახლე, აგრესივე ინკუბაციის პროცესში ჩანასახის განეისარება.

ოვოციდეზი (ლათ. ovum კერცხი, caedo ეკლავ) - ქიმიური ნიესიერებები, რომელთაც იყენებენ კლემინაიების და ფეხსახსრიანების კერცხების გასანადგურებლად.

ოვოციტები (ლათ. ovum კერცხი, ბერძ. kytos უჯრედი) - კერცხეუჯრედის განეისარების ერთ-ერთი ადრეული სტადია.

ოვოვიტინოლოგიური პითოდი (ლათ. ovum კერცხი ბერძ. helmins ჭია) - დიაგნოსტიკის მეთოდი, როდესაც ფეკალიების მიკროსკოპული გამოკვლევის ხდება ჭიების კერცხების გამოვლენა და იდენტიფიკაცია.

ოვულაცია (ლათ. ovum კერცხი) - მომწიფებული ფოლიკულის გასკლამის ფაზა. საკერცხიდან კერცხეუჯრედის გამოსელა.

ოვაენა (osaena) - მყრალი სურდო.

ოზონი (ბერძ. ozon სუნის ტრიალი) - ჟანგბადის სახეცვლილება, რომლის მოლეკულა შედგება 3 ატომისაგან (O₃). გააჩნია დამახასიათებელი სუნი, აგრესივე ძლიერი დამანგაე და გამაუსნებოვნებელი თვისებები.

ოზონის შერაენი (ბერძ. ozon სუნის ტრიალი) - იგივე ოზონოფერო. დედამიწის ზედაპირიდან დაახლოებით 15-35 კმ-ის სიმაღლეზე განლაგებული ოზონის მოლეკულების მაღალი კონცენტრაციის შემცველი ატმოსფეროს შრე, რომელიც აირეკლავს ცოცხალი სისტემებისათვის დამღებელ ულტრაიისფერ გამოსხივებას (რომლის ტალღის სიგრძე 0,290 მკმ-ზე ნაკლებია). ჰერში არსებული ჟანგბადისაგან ოზონის წარმოქმნას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ბოსფეროს ევოლუციაში. ამჟამად, ოზონის ეკრანი საგრძობლად დაზიანებული ანაროპოგენური ზემოქმედების შედეგად.

ოიკუმენი (ბერძ. oikumene ეცხოვრობ. ებინდრობ) - დედამიწის ნაწილი, რომელიც დასახლებულია ადამიანის მიერ.

ოკეანაროპი (ბერძ. okeanos უსაზღვრო ზღვა) - ზღვის წყლის საესე აუზი, რომელიც განკუთვნილია ზღვის ცხოველებისათვის. მათი დემონსტრირების და გაწერხილი ცხოველების წარმოდგენების მოწყობის მიზნით ზოგიერთ ოკეანაროპში მიმდინარეობს სამეცნიერო ხასიათის კვლევები.

ოკეანი (ბერძ. okeanos უსაზღვრო ზღვა) - მძებებრძულ მთაოლოგიაში - წყლის სტიქიის ღმერთი, ურანის და გეას შვილი. მწყლის გარსი, რომელიც გარს აკრავს დედამიწას წყლის უწყვეტი შრის სახით. მსოფლიო ოკეანეს უკავია დედამიწის

71% და შედგება 4 დამოუკიდებელი ოკეანისაგან: წყნარი, ატლანტის, ინდოეთის და ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანეებისაგან.

ოქალსეზია (ლათ. *occlusus* ჩაკეტილი) - ღდახურვა, დაცობა, დახშობა. 2 ზედა და ქვედა კბილების ურთიერთგანლაგება მოკუმულ მდგომარეობაში. იგივე თანკბილვა.

ოქსლარი (ლათ. *ocularis* თვალის) - ერთი ღონისა და ღონათა სისტემაგან შემდგარი ოპტიკური ხელსაწყო ნაწილი, რომელიც მიმართულია დამკვირვებლის თვალისაკენ.

ოქსლტიზმი (ლათ. *occulitis* ფარული, იდუმალი) - ბუნების საიდუმლო ძალებზე და ზებუნებრივ თვისებებზე წარმოდგენათა საერთო სახელწოდება.

ოქსანდრი (*Nerium oleander*) - მარადწიანე მცენარე ბუჩქია. შხამიანია. შეიცავს გლიკოზიდებს - ოლქანდრინს, კორნერინს და სხვა. პრეპარატს იყენებენ გულსისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ.

ოლიგობენეზი (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *genos* დაბადება, წარმოქმნა) - გენები მკვეთრად გამოხატული ფენოტიპური გამოვლინებებით. იგივე გადამრთველი გენები.

ოლიგომენორია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *men* თვე, *rheo* მოვედინები) - ხანგრძლივი ინტერვალების მიმდინარე, არანორმალურად გაიშვიათებული თვიური.

ოლიგომერიზაცია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *meros* ნაწილი) - ევოლუციის პროცესში ერთი და იგივე ფუნქციის შემსრულებელი ორგანოების რაოდენობის შემცირება. მაგ. ყვავილში გვირგვინის ფურცლების ან ცხოველებში სხეულის სტრუქტურის რაოდენობის შემცირება და ა.შ.

ოლიგოსპორები (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *sapros* დამპალი) - ორგანიზმი, რომელიც ცხოვრობს სუფთა წყალში და წარმოადგენს წყლების სისუფთავის ბიოინდიკატორს. ოლიგოსპორობებს მიეკუთვნებიან ზოგიერთი წყალმცენარე, მოლუსკი, თევზი და ა.შ.

ოლიგოსპერმია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *sperma* თესლი) - გამოყოფილი სპერმის მცირე რაოდენობა.

ოლიგოფაგია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *phagos* შთანთქმა) - შედარებით ერთგვაროვანი (ერთნაირი სახის) საკვების მიღება.

ოლიგოფრენია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *phren* ჭკუა) - თანდაყოლილი ჭკუასუსტობა, ინტელექტის განუვითარებლობა. არჩევენ სამი სახის ოლიგოფრენიას: იდიოტას, იმბეცილობას და დემბლობას.

ოლიგოქოლია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *chole* ნალექი) - ნალექის გამოყოფის შემცირება.

ოლიგურია (ბერძნ. *oligos* მცირე, ცოტა, *uron* შარდი) - შარდის გამოყოფის შემცირება (დღეულამეში საშუალოდ 500 მლ-ზე ნაკლები).

ომბროფილები (ბერძნ. *ombros* წვიმა, *philia* სიყვარული) - მცენარეები, რომელთაც შეუძლიათ გადაიტანონ ხანგრძლივი წვიმები (მაგ. სელაგინულა, ჭორტანა და სხვა).

ომბროფობები (ბერძნ. *ombros* წვიმა, *phobos* შიში) - მცენარეები, რომლებიც ვერ იტანენ ხანგრძლივი წვიმებს.

ომონიზმი (ბერძნ. *homos* ერთნაირი, *onyma* სახელი, სახელწოდება) - სიტყვები, რომელთაც ერთნაირი უღერადობა აქვთ, ამასთან ერთად კი სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნიათ. ერთი

და ოგევე სახელწოდება, რომელიც აქვს ორ, ურთიერთისაგან განსხვავებულ სახეობას. მაგ. სეა-თეე-ზიც არის და მცენარეც, ყუაილი - მცენარის რეპროდუქციული ორგანოა და ამავე დროს, ინფექციური დაავადებაც და ა.შ.

ონანის (ბიბლიური პერსონაჟის, ონანის სახელის მიხედვით) - სქესობრივი მოახიზინების დაკმაყოფილება სასქესო აქტის გარეშე სქესობრივი დაკმაყოფილების ფორმა უროგენული ზონების ხელოვნური გაღიზიანებით.

ონქოფაგია (ბერძნ. onyx ფრჩხილი, phago ჭამი) - ფრჩხილების კნექტის ჩვეულება.

ონკომატოზის თეორია (ბერძნ. onkos სიმსინე, წარმონაქმნი, genesis წარმოქმნა) - კანცეროგენეზის ამჟამად ყველაზე უფრო პოპულარული თეორია ამ სუორიის მიხედვით, უმაღლესი ორგანიზმის ყველა უჯრედში არსებობენ ონკოგენური პოტენციის მქონე გენები. ონკოგენების მოქმედების რეალიზაცია ხდება მათ მიერ კოდრებული ონკოცილების მეშვეობითა აუთისებიან ტრანსფორმაციაში მონაწილეობს ორი ან მეტი ონკოგენი (იხ. პროტონკოგენები). ამ სუორიის ფუძემდებელია ნ.პ.პაუზრენკო.

ონკოპენეზი (ბერძნ. onkos სიმსინე, წარმონაქმნი, genesis წარმოქმნა) - სორმალური უჯრედის აუთისებიანად გარდაქმნის პროცესი. განასხვავებენ ონკოგენის 3 სტადიას: ინიციაციას, პრომოციას და პროგრესიას. სინონიმი: კანცეროგენეზი (იხ.).

ონკომატოპია (ბერძნ. onkos სიმსინე, genetikos წარმოშობასთან დაკავშირებული) - ონკოლოგიის დარგი, რომელიც სიმსინეების ეტიოლოგიასა და პათოგენეზში სწავლობს გენეტიკური ფაქტორის როლს.

ონკომატოზი (ბერძნ. onkos სიმსინე, genesis დაბადება, წარმოშობა) - ონკოგენურ ეორუსში ან უჯრედებში არსებული გენი, რომელიც განაპირობებს უჯრედების აუთისებიან ტრანსფორმაციას.

ონკოლოგია (ბერძნ. onkos სიმსინე, logos მოძღვრება) - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სიმსინეებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს ონკოლოგიის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ბიოლოგიის (განსაკუთრებით ციტოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიის) და ქიმიის წარმატებებთან.

ონკომორფოლოგია (ბერძნ. onkos სიმსინე, morphე ფორმა, logos მოძღვრება) - სიმსინეების აგებულების, სტრუქტურის (მორფოლოგიის) შემსწავლელი მეცნიერება.

ონკონაპირუსი (ბერძნ. onkos სიმსინე, ინგლ. RNA რიბონუკლეინის მკაეა, ლათ. virus შხამი) - რიბონუკლეინის მკაეის შემცველი, ონკოგენური პოტენციის მქონე ეორუსები (თაგვების ლეიკემიების, რაუსის სარკომის, ბიტერის ეორუსები და სხვა). ამჟამად ისინი მიეკუთვნებიან რეტროვირუსების ოჯახის ონკოვირუსების ქეოჯახს.

ონკოსფერო (ბერძნ. onkos სიმსინე, sphaira დისკო) - თანმისებრი ჭიების უმეტესი ნაწილის განვითარების ერთ-ერთი სტადია (ეკრძოდ, მატლის სტადია).

ონტოგენეზი (ბერძნ. on, ontos არსებული, genesis წარმოშობა) - ამა თუ იმ ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება განაყოფიერებული კვერცხიდან აღნიშნული ინდივიდის სიცოცხლის ბოლომდე ტერმინი შემოიღო გერმანელმა ბიოლოგმა ე.პ.პ. უელსმა 1866 წელს.

ონტოგენეტიკა (ბერძნ. on, ontos

არსებული, genesis წარმოშობა) - იხ. განეისარების ბიოლოგია.

ლოლოზია (ბერძნ. οον კვერცხი, logos მოძღვრება) - იხ. ოეოლოგია.

ოპერაბილური (ლათ. opero ემუშაობ, ოპერაციას ეაკეუებ) - დაავადება, რომელიც ოპერაციას ექვემდებარება. მაგ., სიმსიენე, რომლის ოპერირება კლინიკური გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინოპერაბილური (იხ.).

ოპერატიული (ლათ. operator მუშაკი) - ის, რაც ეხება ოპერაციას (ქირურგიულს, სამხედროს და სხვა). ღრამიეს სწრაფად და დროულად შესრულება.

ოპერაცია (ლათ. operatio მოქმედება) - ქირურგიული ჩარევა სამკურნალო მიზნით, ქსოვილებსა და ორგანოებზე მექანიკური ზემოქმედება. ღრამი მიზნით, ერთი ამოცანით გაერთიანებული დასრულებული მოქმედება.

ოპერონი (ლათ. opero ემუშაობ, ემოქმედებ) - ოპერონი წარმოადგენს ოპერატორს და მასზე დამოკიდებულ სტრუქტურულ გენებს. ოპერატორზე მოქმედებს რეპრესორი (ცილა), რომელიც იწვევს ოპერატორის დაარეგულვას რეპრესორის სინთეზს აწარმოებს გენ-რეგულატორი (გენის რეგულაციის ჯაკოსა და მონოს ჰიპოთეზა).

ოპისტორქოზი (Opisthorchis felinus, ბერძნ. osis მდგომარეობა) - ლეიშმანის სანაღლე გზებში, ნაღლის ბუშტსა და პანკრეასში აღნიშნული პელმინთების (ბრტყელი ჭიების ტიპი, დიგენეზური მწოველების კლასი) შეჭრის შედეგად განეისარებული დაავადება. დასენიანება ხდება უშიან ცუდად მოხარშული თევზით, თავისი განეისარებისათვის პარაზიტი საჭიროებს 2 შუალედურ მასპინძელს - ჭაობის ლოკოკინას და მტკნარი

წყლის თევზებს (ნაფოტას, კაპარჭინას და სხვა). დეფინიტური მასპინძლებია ადამიანი, ძაღლი, კატა. პროფილაქტიკური ღონისძიებანი იხეაღისწინებს პარაზიტის სასიცოცხლო ციკლის გაწყვეტას.

ოპიონი (ბერძნ. opion ყაყაჩოს წვენი) - საძილე ყაყაჩოს (Papaver somniferum) მოუმიწიფებელი სასუსლე კოლოფების გამომშრალი წვენი. შეიცავს სხედასხვა ალკალოიდებს (მორფინს და სხვა). მედიცინაში იყენებენ როგორც ტკივილგამაქუთებელ საშუალებას.

ოპონენტი (ლათ. opponens ეინცკამააება ეინმეს წინააღმდეგ გამოდის) - სპირი, რომელიც კამასში გამოდის, პაქრობაში მონაწილეობს. 2. სპირი, რომელიც წინაწარ არის დანიშნული დისერტაციის დაცვაზე.

ოპორტუნისტული დაავადებები (ლათ. opportunus ხელსაყრელი) - ამა თუ იმ პათოლოგიური პროცესის თანხლები დაავადებებია. მაგ. შიდსის დროს ადგილი აქვს პნემონიებს, კაპოშის სარკომის, ლიმფომების, აგრეთვე სხედასხვა პირობით-პათოგენური მიკროორგანიზმების განეისარებას.

ოპრესია (ლათ. oppressus ხრჩობა, მოჭერა) - 1. წუხილი, სედა, დაღონება. 2. გულმკერდის არეში თავისებური წუხილისა და ხუთეის შეგრძნება.

ოპტიკა (ბერძნ. optike მეცნიერება მხედველობაზე) - 1. თეზიკის დარგი, რომელიც სწავლობს სინაისლის მოუღენას და თეისებებს. 2. ხელსაწყობი, რომელსა მოქმედება ეყრდნობა სინაისლის არეკლისა და გარდატეხის კანონებს.

ოპტიმალური (ლათ. optimus საუკეთესო) - შესაძლებელი ვარიანტიბიდან საუკეთესო; საუკეთესო (მაგ. ოპტიმალური პირობები).

ორალური (ლათ. oris პირი) - პირის ის, რაც პირს შეეხება სხეულის იმ ნაწილისაკენ მყოფი, სადაც პირია.

ორანჟერია (ფრანგ. orangerie ფორსოხალი) - შემინული სასაესი თბილი ქვეყნების მცენარეების გაზრდისა და გამოზამარებისათვის, აგრეთვე სეზონისადმი შეუსაბამო ბოსტნეულისა და ყვავილების კულტივირებისათვის. ოგივე სასაბურთი.

ორატორი (ლათ. orator ლაპარაკი) - 1. პიროვნება, რომელიც სიტყვას ამბობს კრებაზე. 2. ღაღადანი, რომელსაც გაანთა სიტყვის წარმოაქმნის ხელოვნება ფარასი აუდიტორიის წინაშე.

ორბაზმი (ბერძნ. orgao აგზნებული ვარ) - სქესობრივი აქტის კულმინაციური ფაზა, უკიდურესი აგზნება, რასაც მოყვება ნერეული დაცლა. ფიზიოლოგიურად გამოხატება მამაკაცის მიერ თესლის ეაკულაციაში. განასხევევენ ქალის ორგანიზმის შემდეგ სახეებს: კლიტორულს, ვაგინალურს და შერეულს (კლიტორულ-ვაგინალურს).

ორბანელება (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი) - ერთეულედიანი ორგანიზმის ნაწილი, რომელიც მრავალეულედიანი ორგანიზმის რომელიმე ორგანოს ანალოგიურია. განსაკუთრებით მრავალეულედიანი და რთული ორგანიზმებისა და შოლტიანების ორგანელები. განასხევევენ ორგანელების რამოდენიმე ტიპს: საყრდენს, სამოძრაოს, კუმშვადს, საჭმლის მომნელებელს, სეკრეტორულს და სხვა.

ორბანიზმი (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი) - ცალკეული ცოცხალი არსება, რომელსაც განიხილავენ როგორც ბიოლოგიურ სისტემას. ორგანიზმი შედგება ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთაქმედებაზეული ელემენტებისაგან: ყოველი

ცოცხალი არსება, რომლის ძირითადი თვისებებია ნივთიერებათა ცვლა.

ორბანობენი (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, genesis გეარო, წარმოშობა) - უანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი და აზოტი. ჩვეულებრივ ისინი ორგანული ნივთიერებების ძირითადი ქიმიური ელემენტები არიან ამიტომაც ეწოდებათ მათ ორგანობენები.

ორბანობენი (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, genesis წარმოქმნა, წარმოშობა) - ორგანობის ჩანასახების წარმოქმნა და მათი დიფერენცირება მრავალეულედიანი ორგანიზმების ონტო- და ფილოგენეზში. მომავალი ორგანიზმის ქსოვილები და ორგანოები წარმოქმნებიან ჩანასახოვანი ფურცლებისაგან - ექტოდერმის, მეზოდერმისა და ენტოდერმისაგან.

ორბანოთერაპია (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, therapia მკურნალობა) - მკურნალობა ცხოველების ორგანოებიდან დამზადებული პრეპარატებით.

ორბანოიდეა (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, eidos სახე) - უჯრედის მუდმივი, სპეციალიზებული სისტემები, რომლებიც ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს (მიტოქონდრიები, გოლჯის აპარატი, ცენტროსომა, რიბოსომები და სხვა). უმარტივესებში ანალოგიურ სტრუქტურებს ორგანელებს უწოდებენ (იხ).

ორბანოპათოლოგია (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, pathos აუდ-მყოფობა, ტანჯვა, logos მოძღვრება) - ორგანოსა და ფუნქციის პათოლოგიური ცვლილებების შესწავლელი მედიცინის დარგი.

ორბანოპლასტიკა (ბერძნ. organon ორგანო, იარაღი, plastike ექვრწავება, ექანდაკება) - დაკარგული ორგანოების, მაგ., ცხვირის აღდგენა ქირურ-

გოული გზით.

ორბანოტროპიზმი (ბერძ. or-ganon ორგანო, იარაღი, tropos მიმ-არსულება, ismus მდგომარეობა) - ამა თუ იმ აგენტის (ფაქტორის) ზემო-ქმედება რომელიმე ერთი (ან რამდენიმე) ორგანოს მიმართ. მაგ. აფლატოქსინი იწვევს ლეიძლის ჰეპატომების განე-თარებას ამდენად აღნიშნული ტოქსინი ჰეპატოტროპულია.

ორბპარალმუთიპი თიპიზები (Dipnoi) - ძელოვანი თევზების ერთ-ერთი ზეოზი ლაყუების გარდა, აქეს ნამდვილი ფილტვები, ქონები, ფილტ-ვის სისხლის მიმოქცევა და ქვედა ღრუ ენა.

ორდინარული (ლათ. ordinarius) - ჩვეულებრივი, საშუალო.

ორდინატა (ლათ. ordinatus მო-წესრიგებული) - ერთი ან ორი (შეიძ-ლება სამი) რიცხვის დასახელება, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ წერტილის მდებარეობას, განლაგ-ებას გეოგრაფიულ, სწორ ხაზზე კო-ორდინატების სწორკუთხეიანი სის-ტემის მიმართ.

ორდინატორი (ლათ. ordinator წესრიგში მოყვანა, გამგებელი) - სააეადმყოფოს მკურნალი ექიმი, რო-მელიც მუშაობს განყოფილების გამ-გის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ორდოვიკული პერიოდი (ლათ. ordovices - ორდოვიკები, უძველესი კელტური ტომი, რომლებიც ცხოე-რობდნენ ამჟამინდელი უელსის ტერი-ტორიაზე) - პალეოზოური ერის ერთ-ერთი პერიოდი (კემბრიულსა და სილურულს შორის). გრძელდებოდა 60 მლნ წლის განმავლობაში. ამ დროს უკან დაიხია ზღეამ. გაიფურ-ჩქნენ ზღვის უხერხემლოები. ფარსოდ გაერცვლდნენ ტრილობიტები და წყალმცენარეები.

ორმოლი (ლათ. aureolus მოოქრო-ელი) - 1.რელიგიურ სახეის ხელოე-ნებაში რაიმე საგნის ან ადამიანის თაეის გარშემო არსებული ნათება, შარაენდელი 2.რომელიმე პიროვნების გარშემო შექმნილი დიდების, პატიე-ისციმის გარეშო ჰაღნიშნული ტერმინი გამოიყენება ბიოლოგიაში (მაგ. პერი-ნუკლეური ორმოლი).

ორმოტიპი (ბერძ. oros მთა, phyton მცენარე) - მათის მცენარეები. აღბური მცენარეები.

ორთობენიზი (ბერძ. orthos სწორი, genesis წარმოქმნა, წარმოშობა) - თ.ი.ი.მ.არის მიერ 1888-1897 წლებში ჩამოყალიბებული ევოლუციური თეო-რის კონცეპცია, რომლის თანახმადაც ცოცხალი ბუნების განეისარება განპო-რობებულია ევოლუციის გარკვეული გზით წარმმარსაეი შინაგანი ფაქ-ტორებით. აღნიშნულ კონცეპციას მრ-ეალი საერთო ნიშანი გააჩნია ლბერ-ბის ნომოგენეზთან (იხ.)

ორთობრაფია (ბერძ. orthos სწორი, grapho ეწერ) - მარსლწერა.

ორთოდონტია (ბერძ. orthos სწორი, odontos კბილი) - სტომატოლო-გიის ნაწილი, რომელიც სწავლობს კბილების აგებულების და მათი თანკბილვის ანომალიებს და ამ დეფექ-ტების მკურნალობის მესაოდებს.

ორთოდოქსი (ბერძ. orthodoxos მარსდმორწმუნე) - პიროვნება, რომელიც შეურყვევლად მისდევს განსაზღვრულ მოძღვრებას, მიმარსულებას, შეხედუ-ლებათა სისტემას.

ორთოქსია (ბერძ. orthos სწორი, epos მეტყველება) - წესების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სწორ, ლიტ-ერატურულ გამოთქმას. ბგერების გამ-ოთქმის წესების დაცვა.

ორთოქსია (ბერძ. orthos სწორი, paidcia აღზრდა) - მედიცინის დარგი.

რომელიც შეისწავლის ადამიანის სხეულის ხერხეშლისა და კიდურების სახდაყოლილი და შეძენილი დეფორმაციების პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

ორთოპედია (ბერძ. orthos სწორი, ποιο სუნაქეა) - ქოშინი, რომელიც აუადმყოფს, გაძნელებული სუნაქის გამო, აიძულებს მიიღოს ევრტიკალური მდგომარეობა. ორთოპედია დამახასიათებელია მთავარი დიაგნოზის მანკითა და სხე. დაავადებულთათვის.

ორიგინალი (ლათ. originalis თვისამყოფადი, საწყისი) - დედანი, ნამდვილი, ჭეშმარიტი თხზულება: ხელნაწერი, რომლიდანაც ხდება ტიპოგრაფიული აწყობა.

ორიენტაცია (ლათ. oriens აღმოსავლეთი) - ჭარბოში გარკვევის უნარი. ჯანჯანების, ქმედების წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით.

• ორი სინკარონის თეორია •
- სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის თეორია, რომელიც მდგომარეობს კანცეროგენების ინციციციის და პრომოციის სტადიებზე ორი სინკარონის ანუ პიბრიდული უჯრედების წარმოქმნაში. ინციციციის სტადიაზე წარმოიქმნება პრეკანცეროზული სინკარონი (იხ), ხოლო პრომოციის სტადიაზე - ჭეშმარიტი სიმსივნური სინკარონი პროლიფერაციის განუსაზღვრელი პოტენციით.

ორიპტილა (*Bidens tripartita*) - ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეიცავს ეთერის ზეთს. მარიმლავ ნეფითურებს, ასკობინის მკვებას, კოროტინს, ფლავონოიდებს და სხვა. გააჩნია შარდმდენი და ოფლმდენი თვისებები, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხელს უწყობს ორგანიზმში ნეფითურებასა ცვლის ნორმალიზაციას.

იყენებენ დიათეზის, რაქიტის, პოდერის შემსახევეებში.

ორმაგი განაყოფიერება - ფართოესლოვან მცენარეებში განაყოფიერების პროცესის თავისებურება. ორი სპერმიდან ერთი ანაყოფიერებს კერცხუჯრედს, ხოლო მეორე - ჩანასახის პარკის ცენტრალურ უჯრედს.

ორნითოზი (ბერძ. ornis ფრინველი, osis მდგომარეობა) - ეირუსული ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც აუადებს ფრინველებს და გადაეცემა ადამიანს. ადამიანში დაავადება მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურით, ციებ-ცხელებით, თაფისა და კუნთების ტკივილებით, ფილტვების ანთებითა და სხვა.

ორნითოლოგია (ბერძ. ornis ფრინველი, logos მოძღვრება) - ზოოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ფრინველებს.

ორნითოფაგი (ბერძ. ornis ფრინველი, phago ეშთანაქე) - ორგანიზმი, რომელიც უმეტესწილად იკვებება ფრინველებით (მაგ. მიმინო, შევარდენი, ბოლობეჭედა და სხვა).

ორნითოფილია (ბერძ. ornis ფრინველი, philia სიყვარული, მიდრეკილება) - ყვავილის ჯვარდინი დამტყერვა ფრინველების საშუალებით.

ორნითოქორია (ბერძ. ornis ფრინველი, choreo ვერცელები) - მცენარის ნაყოფისა და თესლის გაერცელება ფრინველების მიერ.

ორიპანდი (*Arctium lappa*) - ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეიცავს ინულინს, პროტეინს, ეთერის ზეთს, ლორწოვანს, მარიმლავ ნეფითურებს, სხედასხევა ცხიმოვან მკვებას, ასკობინის მკვებას, გლიკოზიდ არქტინს და სხვა. გააჩნია შარდ- და ოფლმდენი თვისებები. აუმჯობესებს აუადყოფების სისხლისა და შარდის შემადგენ-

ლობას ნაჩვენებია დიაბეტის დროს, თირკმელებსა და შარდის ბუშტში კენჭების დასაშლელად, გასტრიტისა და კუჭის წყლულის შემსახვევებში.

ორსაგდულნიანები (Bivalvia) - მოლუსკების ტიპის ერთ-ერთი კლასია მათი სხეული ორსაგდულიან ნიჟარაში მოქცეული. ნიჟარაში შეიმჩნევა რქოვანი, ფაიფურისმაგვარი და სადაფის შრეები საკვებად გამოიყენებიან მიდიები, ხამანწყები და სხვა მათ აქვთ გემრიელი ხორცი, რომელიც შეიცავს გლიკოგენს, ეიტამინებს, კალციუმს, ფოსფორს და იოდს. ზოგიერთი ორსაგდულიანი მოლუსკის ნიჟარაში მოხედრილი უცხო სხეულისაგან შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მარგალიტი (იხ). ორსაგდულიანებიდან ზოგიერთი მათგანი დიდი ზომებით გამოირჩევა. მაგ. გიგანტური ტრიდაქტნას ნიჟარის დიამეტრი 1.5 მეტრს აღწევს, ხოლო წონა - 300 კგ-ს.

ორსახლიანობა - მღვდრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოების (ერისქესიანი ბუტკოანი და მტერიანებიანი ყვავილების) განვითარება ერთი რომელიმე სახეობის მკენარის სხვადასხვა ეტაპებზე (ტირიფზე, ალვის ხეზე და სხვა).

ორსულობა (graviditas) - ქალის ორგანიზმში განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ნაყოფის განვითარების ფიზიოლოგიური პროცესი, რაც ბავშვის დაბადებით მთავრდება. ორსულობას, როდესაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ეთავსება საშვილოსნოს გარეშე, მაგ. ფალოპის მილში, საშვილოსნოსგარეშე ეწოდება ორსულობა შედგება 3 ტრიმესტრისაგან.

ორშარი (Pulmonaria officinalis) - მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა შეიცავს მანგანუმს, კალიუმს, კალ-

ციუმს, რკინას, ლორწოვანს, მარილვანიეზიერებებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს და სხვა. გააჩნია ანაუების საწინააღმდეგო, შემკერელი, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი და სხვა თვისებები. იყენებენ შინაგანი სეკრეციის ჯორკვლების მოქმედების დამარეგულირებელ საშუალებად, აგრეთვე საკმლის მოძნელებელი ტრაქტის, ფილტვების ტუბერკულოზის და სხვა შემსახვევებში.

ორქიტი (ბერძ. orchis სათესლე. itis ანაუბა) - მამაკაცის სათესლე ჯირკვლების ანაუბა.

ოსიფიკაცია (ლათ. os ძვალი, factio კეთება, საქმიანობა)-გაძვალბა, ძელოვანი ქსოვილის წარმოქმნა.

ოსმორეგულაცია (ბერძ. osmos ბიბი, წნევა, ლათ. regulo მიემარსაე) - ფიზიოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური პროცესებია, რომლებიც უზრუნველყოფენ უჯრედშორისი სითხეების, ლიმიფის, სისხლის ოსმოსური წნევის შეფარდებით, მუდმივობას.

ოსმოსი (ბერძ. osmos ბიბი, წნევა) - ორი სხვადასხვა კონცენტრაციის ნიუთიერების (მეტწილად ხსნარების) დიფუზური გაწონასწორება მათი გამყოფი ფორიანი აპკის გავლით.

ოსტეობლასტი (ბერძ. osteon ძვალი, blastos ყლორტი, ლიეი)-ძელის წარმომქმნელი უჯრედი. ოსტეოციტის (იხ.) წინამდებარე სტადია.

ოსტეოდისპლაზია (ბერძ. osteon ძვალი, dys მოშლა, დარღვევა, plasis შექმნა, წარმოქმნა) - ძელოვანი ქსოვილის განვითარების ანომალია.

ოსტეოპლასტი (ბერძ. osteon ძვალი, klao ეაზიანებ)-ძელის ქსოვილის მატროფაგი, რომლის დახმარებით ხდება ძელის ძირისადი ნიუთიერების გაწოვა გიგანტური უჯრედია გააჩნია რამდენიმე ათეული ბირთვი

ოსტეოლოგია (ბერძნ. *osteon* ძვალი, *logos* მოძღვრება) - ანატომიის დარგი, რომელიც სწავლობს ძვლების ფორმასა და სტრუქტურას.

ოსტეომალაცია (ბერძნ. *osteon* ძვალი, *malakia* სირბილე, სისუსტე) - ძვლების დარბილება მათ მიერ კალციუმის დაკარგვის გამო.

ოსტეომიელიტი (ბერძნ. *osteon* ძვალი, *myelos* ძვლის ტენი) - ძვლის ტენის ანთება, რომელიც ჩვეულებრივ ძვლის კომპაქტურ და ღრუბლისებურ ნივთიერებებზე და ძვლისაზრდელაზე ვრცელდება.

ოსტონი (ბერძნ. *osteon* ძვალი) - ძვლის კომპაქტური ნივთიერების სტრუქტურული ერთეული. მასში შედის 1-2 სისხლძარღვი და ნერვი, რომლებიც ძვლისაზრდელას და ძვლის ტენის სისხლძარღვებს უკავშირდებიან ანატომოზების საშუალებით.

ოსტეოპოროზი (ბერძნ. *osteon* ძვალი, *poros* ფორი) - ძვლის ქსოვილის დაფორიანება, გამჭიხერება, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ანთებითი პროცესები, ასაკობრივი ინოვლუცია.

ოსტეოსარკომა (ბერძნ. *osteon* ძვალი, *sarx* ხორცი, *oma* სიმსივნე) - ძვლოვანი ქსოვილისაგან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე.

ოსტეოციტი (ბერძნ. *osteon* ძვალი, *kytos* უჯრედი) - ძვლის ქსოვილის მაღალდინამიკურენციურებული უჯრედი, რომელიც წარმოქმნის ძვლის უჯრედშორის ნივთიერებას ლოკალიზებულია ეწ. ლაკუნებში, სღრუეებში.

ოსტიტი (ბერძნ. *osteon* ძვალი, *itis* ანთება) - ძვლის ქსოვილის ანთება.

ოსტიუმი (ლათ. *ostium* შესავალი კარი) - ხერედი რბილ ქსოვილებში. შესარსაყი.

ოტოლითიპი (ბერძნ. *otos* ყური, *lithos* ქვა) - კიროვანი კრისტალები (კენჭები), რომელნიც ლოკალიზებული არიან წონასწორობის ორგანოს პარკების ღრუში და მონაწილეობენ წონასწორობის პროცესის რეგულაციაში.

ოტორინოლარინგოლოგია (ბერძნ. *otos* ყური, *rhinos* ცხვირი, *larynx* ხორხი, *logos* მოძღვრება) - მოძღვრება ყურის, ცხვირის და ხორხის აგებულების, ფუნქციებისა და დაავადებათა შესახებ.

ოტოსკლეროზი (ბერძნ. *otos* ყური, *skleros* მკარი) - სასმენი ორგანოს ძვლოვან ლაბირინთში მიმდინარე კუროვანი პათოლოგიური პროცესით განპირობებული დაავადება, რასაც ხშირად თან სდევს ოვალური სარკმლის მიდამოში უზანგის ფუძის ფიქსაცია ძვლის წანაზრდები ხელს უშლის უზანგის მოძრაობას, რის გამოც ბგერა სუსტად გადაეცემა შიგნითა ყურს, ე.ი. ნაკლებად მოქმედებს სასმენი ნერვის დაბოლოებებზე დაავადება ხასიათდება სმენის პროგრესული დაქვეითებით. აღნიშნული დაავადებით იყო შეპყრობილი ლ. ვ. ბაბოქოვიანი. ამჟამად ძალზე ეფექტურა ქირურგიული მკურნალობა სინონიმ: ოტოდისტროფია, ოტოსპონგიოზი.

ოფთალმოლოგია (ბერძნ. *ophthalmos* თვალი, *logos* მოძღვრება) - მეცნიერება თვალის დაავადებათა და მათი მკურნალობის შესახებ.

ოფიდოზი (ბერძნ. *ophidion* გველი, *ismus* მდგომარეობა) - გველის შხამით მოწამვლა.

ოფიდოფობია (ბერძნ. *ophidion* გველი, *phobos* შიში) - გველებისადმი პანიკური შიში.

ოფსონიეზი (ბერძნ. *opsoneo*

საკვებით გამარაგებ)-ნორმალურ სისხლის შრატში ბაქტერიების ფაგოციტოზის უნარის გამაძლიერებელი ნივთიერებანი. აქტიური იმუნიზაციის დროს ოფსონინების რაოდენობა სისხლში მატულობს.

ოქსიდაზები (ბერძ. oxy მჟავე) - დამუხანგავი ფერმენტები, რომლებიც დასაქანგავ ნივთიერებას არამევენ წყალბადს და გადასცემენ მას ჰაერის ჟანგბადს, რის შედეგადაც წარმოიქმნება წყალი ან წყალბადის ზეჟანგი.

ოქსიდაცია (ბერძ. oxy მჟავე) - რაიმე ნივთიერების შეერსება ჟანგბადთან.

ოქსიდორედუქტაზები (ბერძ. oxy მჟავე, ლათ. reducere დაბრუნება, აღდგენა) - ფერმენტების კლასი (200-ზე მეტი ფერმენტი), რომელიც აკატალიზებს ჟანგა-აღდგენით რეაქციებს ელექტრონისა და პროტონების გადატანის გზით. მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ცოცხალი უჯრედების ენერჯითი უზრუნველყოფაში. ოქსიდორედუქტაზების უმნიშვნელოვანესი ჯგუფებია: დეჰიდროგენაზები, ჰიდროქსილაზები, ოქსიგენაზები, ოქსიდაზები, პეროქსიდაზები და სხვა.

ოქსიჰემოგლობინი (ბერძ. oxy მჟავე, haima სისხლი, ლათ. globus ბურთულა) - ჰემოგლობინის არამდგრადი ნაერთი ჟანგბადთან. ამ უკანასკნელის პარციალური წნევის შემცირებისას ოქსიჰემოგლობინი გაცემს თავის ჟანგბადს.

ოქტანა (ლათ. octava მერვე) - ყოველ მერვე დღეს განმეორებადი ციებ-ცხელება.

ოყნა (ბერძ. klyzo გამოვადლება) - სწორ ნაწლავში ირიგატორის ან შპრიციით სისხის (ან აირის) შეყვანა სამკურნალო მიზნით.

ოქოშა (Glechoma hederacea) -

მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. შეიცავს ეთერის ზეთს, ქოლინს, ფისს, ასკორბინის მჟავეს, მთარმლაე ნივთიერებებს. იყენებენ როგორც მადის და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებელ, აგრეთვე ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემაჩერებელ და ამოსახველებელ საშუალებას.

ოჯახი - სისტემატიკური კატეგორია, რომელიც აერთიანებს მონათესავე გვარებს. ოჯახი შედის რიგის შემადგენლობაში.

პ

პაგინაცია (ლათ. pagina ფურცელი) - წიგნის ან ჟურნალის ფურცლების რიგითი ნუმერაცია.

პაგონი (ბერძ. pagus ყინვა, იო არსება, არსებული) - ყინულის სისქეში არსებული ორგანიზმების ერთობლიობა ასეთი ორგანიზმები, ჩვეულებრივ, ანაბიოზურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

პავორ ნოქტურნუს (ლათ. pavor შიში, კანკალი, nocturnus ღამის)-ღამის შიში, განსაკუთრებით 2-8 წლის ბავშვებში.

პათოგენეზი (ბერძ. pathos ავადმყოფობა, ტანჯვა, genesis წარმოშობა) - ავადმყოფობის წარმოშობისა და განვითარების თანმიმდევრობა, მექანიზმი.

პათოგენური (ბერძ. pathos ავადმყოფობა, ტანჯვა, gennoa წარმოქმნი) - დაავადების გამომწვევი, დამასწავლებელი. მაგ., პათოგენური მიკროორგანიზმები.

პათოგნოზური (ბერძ. pathos აუადმყოფობა, ტანჯვა, gnoma ნიშანი) - აუადმყოფობის ან აუადმყოფური მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი. მაგ., ლიმფოგრანულომატოზი-სათვის დამახასიათებელი ანუ პათოგნომურია შტერნბერგ-რედის უჯრედები.

პათოლოგია (ბერძ. pathos აუადმყოფობა, ტანჯვა, logos მოძღვრება) - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ორგანიზმში მიმდინარე აუადმყოფურ პროცესებს.

პათოლოგისური (ბერძ. pathos აუადმყოფობა, ტანჯვა) - აუადმყოფური, არანორმალური რაიმე პათოლოგიასთან დაკავშირებული.

პათომორფოზი (ბერძ. pathos აუადმყოფობა, ტანჯვა, morphe სახე, ფორმა) - დაავადების, მისი სიმპტომების, კლინიკური მიმდინარეობის, უჯრედული სუბსტრატის არსებითი შეცვლა რაც განპირობებულია გარეშე ფაქტორთა (ქიმიოთერაპია, დასხივება და სხვა) ზემოქმედებით.

პათოსი (ბერძ. pathos) - უდიდესი აღფრთოვანება, აღმაფრენა, აღმავლობა (სიტყვის თქმაში, შემოქმედებაში და სხვა).

პალეოანთროპები (ბერძ. palaios ძველი, anthropos ადამიანი) - იგივეა, რაც ნეანდერტალელი ადამიანი (იხ).

პალეოანთროპოლოგია (ბერძ. palaios ძველი, anthropos ადამიანი, logos მოძღვრება) - ანთროპოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ნამარხ ადამიანებს.

პალეობიოლოგია (ბერძ. palaios ძველი, bios სიცოცხლე, logos მოძღვრება) - მეცნიერება, რომელიც სწავლობს ნამარხ, გადაშენებულ ორგანიზმებსა და მათ ურთიერთობას თანამედროვე ორგანულ სამყაროსთან.

პალეოპეინი (ბერძ. palaios ძველი, genesis წარმოშობა) - კაინოზოური ერის ყველაზე უფრო ძველი პერიოდი. მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 41 მილიონ წელს შეადგენდა. ამ დროს გაერცვლებულნი იყვნენ ძელოვანი თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები და სხვა. ამ პერიოდის ბოლოს გაჩნდნენ უძველესი ადამიანისმაგვარი მიომუნები. მცენარეებიდან გაბატონებული იყვნენ ფარულსაესლოვანები.

პალეოზოური პრა (ბერძ. palaios ძველი) - იგივე ძველი სიცოცხლის ერა. მისი ხანგრძლივობა 570-მდე მონ წელს შეადგენდა. შედგება კემბრიული, ორდოიკული, სილურული, დეეონური, ქენანზირის და პერმული პერიოდებისაგან. ამ ერის ბოლოსათვის სწრაფად განვითარდნენ ქვეწარმავლები, წარმოიშენნ მხეცები და ქვეწარმავლები. მოისპო ქენანზირის ტყეები მდიდარი იყო შიშველთაესლოვანთა ფლორა.

პალეოლითი (ბერძ. palaios ძველი, lithos ქვა) - თანამედროვე ადამიანის და მისი წინაპრების კულტურულ-ტექნიკური განვითარების ქვის ხანის უძველესი პერიოდი (2,5 - 3,0 მონ - 12 - 10000 წლის წინა) ამ პერიოდის ადამიანი აშაღებდა ქვის იარაღს, ფართოდ იყენებდა ხის, ძელის ნაკეთობებს, ნადირობდა.

პალეონტოლოგია (ბერძ. palaios ძველი, on, ontos არსებული, logos მოძღვრება) - მეცნიერება, რომელიც სწავლობს წარსული გეოლოგიური პერიოდების ორგანიზმებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ნამარხი ნაშთების სახით.

პალიატივი (ლათ. palliatus დაფარული) - საშუალება, რომელიც დროებით ამსუბუქებს აუადმყოფის მდგომარეობას, მაგრამ არ კურნავს მას ნახევარზომად.

პალინგენეზი (ბერძნ. palin ხელახლა, genesis წარმოშობა) - ჩანასახში მეტად თუ ნაკლებად დაშორებული წინაპრების ზრდასრული ფორმების ნიშან-თვისებების განვითარება. ონტოგენეზში ფილოგენეზის ცალკეული ნიშნების სახეცვლილებების განმეორება (მაგ., ხმელეთის ცხოველების ჩანასახებში ლაყუნების არსებობა). ტერმინი შემოიტანა ე.პ.პ. ელმა 1866 წელს.

პალინოზი (ბერძნ. paline მტვერი, nosos ავადმყოფობა) - მცენარეთა ყვავილის მტერისადმი მაღალი მგრძნობელობა იგივე ყვავილის სურდო, თივის ციებ-ცხელება იგივე პოლინოზი.

პალინოლოგია (ბერძნ. paline მტვერი, logos მოძღვრება) - მცენარეთა მტერის მარცვლისა და სპორის შემსწავლელი ბოტანიკის დარგი.

პალპაცია (ლათ. palpatio ხელის მოსმა, შეხება) - ავადმყოფის ორგანოსა, პულსის, სიმსივნის გასინჯვა ხელით.

პამპასები (ესპ. pampas) - ედულები სამხრეთ ამერიკაში.

პანალგია (ბერძნ. pan ყველა, algos ტკივილი) - ტკივილის შეგრძნება მთელ სხეულში.

პანალელი (ბერძნ. pan ყველა, allelon ორმხრივი) - ერთ ლოკუსში არსებული გენების კრებიითი სახელწოდება.

პანართროზი (ბერძნ. pan ყველა, arthron სახსარი) - სახსრის ყველა ქსოვილის ან ყველა სახსრის ანთება.

პანარტიციფი (ბერძნ. par ახლოს, otyx ფრჩხილი) - თითის ჩირქოვანი ანთება. იგივე საწერელი.

პანაკეია (ბერძნ. panakeia ყოელის მკურნალი) - უნივერსალური სამკურნალო საშუალება, რომელიც თითქოს ყველა დაავადებას შეკლის ბერძნული

მისოლოგიის მიხედვით, ცნობილ მკურნალ ასკლეპიოსს ორი ქალიშვილი ჰყავდა - ჰიგია და პანაცეა, რომლებიც მამის კეალს გაჰყენენ. ტერმინი ეწოდა ერთ-ერთი ქალიშვილის საპატივცემულოდ.

პანგენეზი (ბერძნ. pan საყოველთაო, genesis წარმოქმნა) - პიპოთეა შამომავლობაში წინა თაობების ნიშან-თვისებების განმეორების, რეპროდუქციის მექანიზმზე, რომელიც წარმოადგინა ჩ.ლ.პრინმა 1868 წელს. ამ პიპოთეის თანახმად, ორგანიზმის ყველა უჯრედი გამოყოფს უმცირეს ნაწილაკებს (ჰემულეებს), რომლებიც გროედებიან სასქესო უჯრედებში. დარეინის აზრით, ამისაა განპირობებული ნიშან-თვისებების, მათ შორის შექნილი ნიშან-თვისებების დამემკვიდრება.

პანდემია (ბერძნ. pan საყოველთაო, demos ხალხი) - ეპიდემია, რომელიც ერთდროულადაა გაერცელებული სხვადასხვა ქვეყნებში ეპიდემიის ძალზე ფართო მასშტაბით გაერცელება.

პანოოტი (ბერძნ. pan საყოველთაო, ყველა, zoon ცხოველი) - დიდ გეოგრაფიულ არეალზე ცხოველთა რომელიმე ავადმყოფობის გაერცელება.

პანთეონი (ბერძნ. pan საყოველთაო, ყველა, theos ღმერთი) - 1. ძველ საბერძნეთსა და რომში - ყველა ღმერთისადმი მიძღვნილი საკურთხეველი. 2. ამა თუ იმ კულტის ყველა ღმერთის საერთო სახელწოდება. 3. ადგილი, რომელიც გამოყოფილია გამოსწავლილი მოღვაწეების დასაკრძალადად.

რება) - ადამიანისა და ცხოველის ენკეტაციური ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც გაეყვანა ახდენს საჭმლის მომწელებელი ორგანოების, გლუვი კუნთების, გულის, სისხლძარღვების, თირკმლების, შარდის ბუშტის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების, სასქესო ორგანოების, გრძნობათა ორგანოების და სხვათა მუშაობაზე.

სიმპატრია (ბერძ. *syn* თან, ერთად, *patria* სამშობლო) - ერთ გეოგრაფიულ რაიონში სხეულის სხვადასხვა ნაწილების ან გენეტიკურად განსხვავებული შიდასხეობრივი ჯგუფების თანაცხოვრება.

სიმპლასტი (ბერძ. *syn* თან, ერთად, *plastos* გამომწევი, წარმოქმნილი) - ქსოვილები, რომელსა უჯრედებს შორის ზღვარი წაშლილია სიმპლასტიური აგებულება დამახასიათებელია განივზოლიანი კუნთების ბოჭკოებისათვის, ზოგიერთი უმარტივესისათვის და სხვა. სიმპლასტი წარმოქმნება უჯრედების შერწყმის ან ენდომიტოზის (იხ.) შედეგად.

სიმპლექსი (ლათ. *simplex*) - მარტივი, უბრალო. მაგ., *herpes simplex* - მარტივი ჰერპესი.

სიმპოზიუმი (ბერძ. *symposium* მეგობრული ნადიმი) - რაიმე საქმიანობის სამეცნიერო საკითხისადმი მიძღვნილი შეხვედრა ეიწრო წრეში. ჩვეულებრივ, საერთაშორისო მასშტაბით.

სიმპტომატოლოგია (ბერძ. *symptoma* ნიშან-თვისება, დამთხვევა, *logos* მოძღვრება) - მოძღვრება დაავადებასა სიმპტომების შესახებ.

სიმპტომი (ბერძ. *symptoma* ნიშან-თვისება, დამთხვევა) - რაიმე აუადმყოფობის დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი. განსხვავებულ სუბიექტურ და ობიექტურ სიმპტომებს.

სიმპტომური მკურნალობა

(ბერძნ. symptoma ნიშან-სივისება, დამახვევა) - დაავადების სიმპტომების (და არა მისი გამომწვევი მიზეზის) წინააღმდეგ მიმართული მკურნალობა.

სიმსივნეების კლინიკური წარმოდგენა (ბერძნ. klon ამონაყარი, ყლორტი) - სიმსივნეების უჯრედული სუბსტრატის წარმოქმნა ერთი უჯრედისგან, კლონიდან.

სიმსივნის ბიოკლინიკური წარმოდგენა (ლათ. bi orio, ბერძნ. klon ამონაყარი, ყლორტი) - სიმსივნურ უჯრედებს ზოგ შემთხვევაში გააჩნიათ ორი სხვადასხვა ტიპის უჯრედისათვის დამახასიათებელი ანტიკონები და მორფოლოგია.

სიმსივნური ევოლუცია (ლათ. evolutio განვითარება, გაშლა) - სიმსივნური პროცესის განვითარება ნელი, თანდათანობითი ცვლილებების გზით.

სიმულაცია (ლათ. simulatio მიმსგავსება, თავის მოჩვენება) - თავის მთავადმყოფება, ავადმყოფობის მოგონება ენმეს მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით.

სინატილის მიკროსკოპია - უჯრედებისა და ქსოვილების გამოკვლევის ძირითადი მეთოდი. სინატილის მიკროსკოპი შედგება სასაგნე მაგიდისაგან, ტუბუსისაგან, ობიექტივებისაგან, ოკულარისაგან, კონდენსორისაგან, დიაფრაგმისაგან, ფოკუსის ორი - მიკროსკოპი და მაკროსრაზხებისაგან და სარკისაგან. ობიექტივი შედგება ლითონის ბუდეში მოათავსებული რამოდენიმე ლინზისაგან, ოკულარი კი - ორი ლინზისაგან. სინატილის მიკროსკოპის გარჩევის უნარი შეზღუდულია სინატილის ტალღის სიგრძით. საერთოდ, ნებისმიერი მიკროსკოპის გადიდებისა და გარჩევის უნარი განაპირობებს წყაროს ტალღის სიგრძის უკუპროპორციულობა. ობიექტის გადიდებას სინატილის მიკროსკოპში ეადვენს ობიექტივისა და

ოკულარის გადიდებების ერთმანეთზე გადამრავლების საშუალებით.

სინაპაქის ხე (Cassia acutifolia) - მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ან ბუჩქი. შეიცავს ანტრაგლოკოზიდებს, ფისებს, სხვადასხვა ორგანულ მუხვებს, ფლავონოიდებს, ფიტოსტერინებს. იყენებენ როგორც სასაქმებელს, ნაწლავების ფუნქციის რეგულაციისათვის, ქრონიკული ატონიური ყაბზობების, ბუასილის, აგრესივე ლეიდილისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას.

სინანთროპი (ლათ. Sina ჩინეთი, ბერძნ. anthropos ადამიანი) - უძველესი ნამარხი ადამიანი, რომლის ჩონჩხის ნაშთები პირველად აღმოჩენილ იქნა ჩინეთში XX საუკუნის 20-იან წლებში. ანთროპოლოგიურად პითეკანთროპის (იხ.) მსგავსია.

სინანთროპიატია (ბერძნ. syn თან, ერთად, anthropos ადამიანი) - ადამიანის სიახლოვეს სხვა ორგანიზმების თანაცხოვრების მოვლენა. ასეთი ცხოველები ზოგჯერ ასრულებენ ბუნებრივი სანიტრიების ფუნქციებს, ზოგჯერ კი ადამიანისათვის საშიში დაავადებების გადამტანებია.

სინანთროპული ორგანიზმები (ბერძნ. syn თან, ერთად, anthropos ადამიანი) - ცხოველები, მცენარეები და მიკროორგანიზმები, რომლებიც დაკავშირებული არიან ადამიანთან ტკიპებით, რწყილებით, კოლოებით შეიძლება იყენებენ სრული სინანთროპული ორგანიზმები (სუკი ისინი ბინადრობენ ადამიანის სადგომში) ან ნაწილობრივი (სუკი ისინი ბინადრობენ დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე, ადამიანის საცხოვრებლის გარეშე). ტერმინი პრაქტიკულად არ გამოიყენება პათოლოგიური მიკროორგანიზმების აღსანიშნავად.

სინანთროპი (ბერძნ. syn თან, ერთად, arthron სახსარი, osis მდგო-

მარეობა) - ძელების უძრავი ან ნაკლებადმოძრავი შეერთება შემარსებელი ქსოვილით (სინდესმოზი), ხრტილით (სინქონდროზი) ან ძელოვანი ქსოვილით (სინოსტაზი).

სინაფსი (ბერძნ. *synapsis* კავშირი) - 1. ნეირონთა ან ნერვისა და კუნთის შეკავშირების ადგილი. სინაფსი შეიძლება იყოს აღმზნები და შემაკავებელი. ადამიანის სათვის ტვინის დიდ ნეირონებს გააჩნიათ 4-დან 20000-მდე სინაფსი, სხვებს კი მხოლოდ ერთი. იმისდა მიხედვით, თუ რა ბუნების სიგნალი გადის მათში, არსებობს სინაფსის ორი ტიპი - ელექტრული და ქიმიური. 2. ქრომოსომების კონიუგაციის სინონიმი, რასაც ადგილი აქვს მეთოზური გაყოფის დროს. ამ დროს ხდება ქრომოსომებს შორის ცალკეული მონაკვეთების გაცვლა ანუ კროსინგოვერი (იხ). სინონიმ: სინდუზი.

სინგამია (ბერძნ. *syngamos* ქორწინებით შეერთებული) - იგივე განაყოფიერება ანუ მდედრობითი და მამრობითი სასქესო უჯრედების შერწყმა.

სინგენური ცნობილები (ბერძნ. *syn* თან, *ერთად*, *gennao* წარმოშობა) - ლაბორატორიული ცხოველები, რომლებიც ერთი და იგივე წინაპრებისაგან წარმოიშვნენ.

სინგლი (ინგლ. *single* ერთი, მარტოდმარტო) - ადამიანი, რომელიც კარგად გრძნობს თავს მარტობაში.

სინდრომი (ბერძნ. *syndrome* თავმოყრა) - რომელიმე ავადმყოფობისათვის დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა (კომპლექსი). ცნობილია სხვადასხვა სინდრომები, ისეთები როგორიცაა: ბანტის, ბროუნ-სეკარის, ექსტრალის, კენედის, მენიერის, ფანკონის და სხვა.

სინემპლომა (ბერძნ. *syn* თან, *ერთად*, *oikos* ადგილ-სამყოფელი,

logos მოძღვრება) - იგივე თანასაზოგადოებების ეკოლოგია. შეისწავლის ბიოცენოზების ორგანიზაციის კანონზომიერებებს, მათ სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, რაც კვებით ჯაჭვებში ნიუთიერებათა მიმოქცევასა და ენერჯის ტრანსფორმაციაში ელინდება.

სინერგისტობა (ბერძნ. *syn* თან, *ერთად*, *energia* მოქმედება, მოღვაწეობა) - მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ბუნების ქემისტრებისაგან (ფოტონი, ელექტრონი, ატომი, უჯრედი, მექანიკური ელემენტები, ორგანოები, მცენარეები, ცხოველები და ადამიანი) შემდგარ სისტემებს. სინერგეტიკა ადგენს საერთო კანონზომიერებებს და ქმნის თეორიულ მოდელს ეკოლოგიის, თეორიული ბიოლოგიის, ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, ეკოლოგიური, სოციალური და გამოყვლითი სისტემებისათვის.

სინერგიზმი (ბერძნ. *syn* თან, *ერთად*, *ergon* მუშაობა) - ფარულთესლოვანი მცენარეების ჩანასახოვან პარკში განლაგებული ორი უჯრედი, რომლებიც კვერცხუჯრედთან ერთად ქმნიან კვერცხის აპარატს.

სინერგიზმი (ბერძნ. *syn* თან, *ერთად*, *ergon* მუშაობა) - რამდენიმე კუნთის ან სხვადასხვა აგენტის (მაგ. წამლების, კანცეროგენური ნიუთიერებების) ერთდროული მოქმედება ერთი მიმართულებით.

სინთეზი (ბერძნ. *synthesis* შეერთება, შერწყმა) - 1. ერთმანეთთან დაკავშირებული საგნების, მოლეკულების, პროცესების ერთიანობა, მათთან 2. ქიმიური რეაქციების მეშვეობით შენარსების მიღება მათი შემადგენელი კომპონენტებისაგან (მაგ. ორგანული ნიუთიერებების სინთეზი). 3. ანალიზის (იხ.) მიღებული მონაცემების განზოგადება, მათი მათლიანობაში

მოყვანა.

სინეპარიონი (ბერძნ. syn sian, ერ-
თად, kytos ბირთვი) - ლორი სომატური
უჯრედის შერწყმის შედეგად მიღებუ-
ლი ერთბირთვიანი უჯრედო-ჰიბრიდი.
ამ დროს ჯერ წარმოიქმნება ორბირთ-
ვიანი უჯრედი (დიკარიონი), შემდეგ
კი ბირთვების შერწყმის გამო - ერ-
თბირთვიანი სინკარიონი. 2. ზიგოტის
ბირთვი, რომელიც წარმოიქმნება ორი
სხვადასხვა სქესის გამეტის ბირ-
თვების შერწყმის შედეგად.

სინკოპა (ბერძნ. synkopto დაუძ-
ლურება, ძალღონის გამოღევა) - გუ-
ლის წასვლა, ცნობიერების ხანმოკლე
დაკარგვა ტვინის მწვავე ანემიის
შედეგად.

სინოვია (პარაცელსუსის მიერ შემო-
ღებული ნეოლოგიზმი) - წყლის, ცი-
ლის, ლორწოსა და მინერალური მარი-
ლებისაგან შემდგარი გამჭვირვალე,
წებოვანი სითხე, რომელსაც გამოყოფს
სინოვიური ჩანაა სასახსრე ზედაპირზე
ხახუნის შესამცირებლად.

სინოიკია (ბერძნ. synoikia თანა-
ცხოვრება) - კომენსალიზმის ერთ-ერთი
სახე, როდესაც კომენსალი ბინადრობს
სხვა ცხოველის საცხოვრებელში
(ბუდეში, სოროში და სხვა). კომე-
ნსალი ჩვეულებრივ იკვებება მასპინ-
ძლის საკვების ნარჩენებით.

სინონიმი (ბერძნ. synonymos
თანამოსახელე, ერთსახელიანი) - სიტყვა,
რომელიც სხვებისაგან განსხვავდება
ხმოვანებით, მაგრამ მას ემთხვევა ან
ძალზე ახლოა მნიშვნელობით.

სინოსტოზი (ბერძნ. syn თან,
ერთად, osteon ძვალი) - ძვლების
უძრავი შეერთება გაძვალბებული
შუალედი ქსოვილის მეშვეობით.

სინტოქსიკური შენაერთები
(ბერძნ. syn თან, ერთად, toxikon შხამი)
- აღნიშნული აგენტები მოქმედებენ

როგორც ტრანსკელიზატორები (იხ.),
ქსინან პასიური, მშვიდობიანი სახარ-
სებობის მდგომარეობას ორგანიზმში
შეჭრილი უცხო ანტიგენებისადმი.
ვეელაზე უფრო ეფექტური სინტოქსი-
კური ჰორმონებია კორტიკოსტეროი-
დები, პრეგნენოლონ 10 α -კარბონიტრი-
ლი და სხვა.

სინუსი (ლათ. sinus წიაღი, უბე) -
სიღრუეები, გამონაზარდი, გრძელი
დახშული არხი (მაგ. ტვინის სინუ-
სები, აორტის და ვენის სინუსები
და სხვა).

სინუსოიდი (ლათ. sinus წიაღი,
უბე, ბერძნ. eidos მსგავსი) - ლეიძლის,
ელენსის, თირკმელზედა ჯირკელის
ვენურ და კაპილარულ ქსელში
ჩართული, ენდოთელიუმით ამოფენილი
სივრცეები ან სიღრუეები.

სინქრონიზაცია (ბერძნ. syn თან,
ერთად, chronos დრო) - აეთისებრი
უჯრედების სინქრონიზაცია ანუ უჯ-
რედული ციკლის ერთ ფაზაში თავ-
მოყრა მათი ერთობლივი განადგუ-
რების მიზნით.

სინქრონული (ბერძნ. syn თან,
ერთად, chronos დრო) - ერთდროულად
მიმდინარე რაიმე პროცესი, ზემოქმე-
დება, მოვლენა.

სინციტიუმი (ბერძნ. syn თან, ერ-
თად, kytos უჯრედი) - გამოირჩევა
უჯრედების მჭიდრო კონტაქტებით,
თუმცა მათ გააჩნიათ პლანბური მემბ-
რანები, რომლებიც ერთმანეთსთან
დესმოსომებით არიან დაკავშირებულნი.
ზოგჯერ სინციტიუმს უწოდებენ გოგა-
ნტურ მრავალბირთვიან უჯრედულ
წარმონაქმნებს (პოლიკარიოციტებს),
რაც მარსიებული არ არის.

სისტემა (ლათ. systema შეერთება,
შეკავშირება) - გულისხმობს ორგანიზ-
მების, რაიმე საგნების, მოვლენების,
იდეების და სხვ. მოწესრიგებულ

ურთიერთდამოკიდებულებას. ბიოლოგიაში - განსაზღვრული ფუნქციის შემსრულებელი ორგანიზმების, ორგანოების, ქსოვილების და სხვ. ერთობლიობა (მაგ., ნერვული, გულსისხლძარღვთა, შარდსასქესო და სხვა).

სისტემატიკა (ბერძ. *systematikos* მოწესრიგებული, დალაგებული) - სისტემაში, წესრიგში მოყვანა. საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაცია და დაჯგუფება ბიოლოგიაში - მეცნიერება ცხოველებისა და მცენარეების განაწილებაზე შესაბამის ჯგუფებში - ცალკეულ სისტემატიკურ კატეგორიებში (სახეობა, გვარი, ოჯახი, რიგი, კლასი, ტიპი). ბიოლოგიაში სისტემატიკას ხშირად ყოფენ ტაქსონომიად (ორგანიზმების კლასიფიკაციის თეორია) და საკუთარივე სისტემატიკად. ტერმინ „ტაქსონომიას“ ხშირად იყენებენ „სისტემატიკის“ სინონიმად.

სისტოლა (ბერძ. *systole* შეკუმშვა) - გულის რისმული შეკუმშვა.

სისხლი (*sanguis*) - თხიერი ქსოვილი, რომელიც ცირკულირებს ორგანიზმის სისხლძარღვებში. შედგება პლაზმისა და სისხლის უჯრედებისაგან ახორციელებს ნივთიერებათა ტრანსპორტს ორგანიზმში, უზრუნველყოფს უჯრედებისა და ქსოვილების ცხოველქმედებას და სხედასხვა ფიზიოლოგიური ფუნქციების შესრულებას. გარდა ამისა, ოგი ასრულებს დამცველობით, რეგულატორულ და სხვა ფუნქციებს.

სისხლის ორპირა - იხ. შისტოსომა.

სისხლის ჟანგბადური ტენიანობა - სისხლის სუნთქვითი პოტენციებით (ჰემოგლობინით და ა.შ.) შეზღუდული ჟანგბადის მაქსიმალური რაოდენობა აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება ევოლუციის მსვლელობისას.

ოგი მაქსიმალურ სიდიდეს (20 მლ ჟანგბადი სისხლის 100 მლ-ზე) აღწევს ფრინველებსა და ბუბუწოვრებში.

სისხლის შორეულა - პერიფერიული სისხლის შემადგენელი უჯრედების შემცველობა პლაზმაში. ჩვეულებრივ ამ მაჩვენებლებს ემატება ფერადობის მაჩვენებელი, ერთირობითების დაღვექვის სიჩქარე (მლს), ლეიკოგრამა (იხ.) და ა.შ.

სისხლის შედეგა - სისხლის გარდაქმნა ელასტიკურ შენადედად, პლაზმაში გახსნილ ცილა-ფიბრინოგენის გაუხსნად ფიბრინად გადაქცევის შედეგად. ფიბრინი პოლიმერიზაციის შედეგად წარმოქმნის წერილ ძაფებს, რომელნიც აკაემირებენ სისხლის უჯრედებს ერთმანეთთან. სხედასხვა დაავადებების დროს სისხლის შედეგების სისწრაფე ჩქარდება ან ნელდება. სისხლის შედეგება ხორციელდება სისხლის უჯრედებით (არომოციტებით, ერთიროციტებით), სისხლძარღვების კედლებითა და პლაზმის ფერმენტული სისტემებით. სინონიმი: კოაგულაცია (იხ.).

სისხლის შემცველობა - ოგიევი საინფუზიო საშუალებები სამკურნალო მიზნით გამოყენებული საშუალებები (სისხლის შემცველად ან მისი კორექციისათვის შოკის, სისხლის დაკარგვის, დამწვრობის, ანემიების და სხვა შემთხვევებში). სისხლის შემცველები პოლიგლუკინი, რეოპოლიგლუკინი და სხვა. სისხლის შემცველებზე სწავლების პოინერია ქარსეული მეცნიერი ი.თ.არხნიშვილი.

სისხლის ჯგუფები - სისხლის ტიპები, რომლებიც განსხვავდებიან ერთი სახეობის ინდივიდებში იმუნოლოგიური მახასიათებლებით - ერთიროციტებში განსაზღვრული ანტიგენების აგრესიე პლაზმაში შესაბამის ანტისხეულების არსებობით ან არარსებო-

ბით. სისხლის ჯგუფებს საზღვრავენ კმპაგლუტინაციის რეაქციის მეშვეობით. ადამიანში სისხლის 4 ძირითადი ჯგუფია (O, A, B, AB ანუ I, II, III, IV).

სისხლმბადი ორგანოები - ორგანოები, რომლებშიც წარმოიქმნებიან სისხლის უჯრედები. მათ მიეკუთვნებიან: ძვლის ტიზი, ლიმფური კვანძები, ელენა, თიმუსი. ემბრიონულ პერიოდში სისხლმბადი ორგანოს ფუნქციას ასრულებს აგრეთვე ღვიძლი.

სისხლწარმოქმნა (ბერძ. haima სისხლი, poiesis წარმოქმნა, შექმნა) - სისხლის უჯრედების წარმოქმნის, განვითარების და მომწიფების პროცესი. სისხლის უჯრედები სპეციალიზებულ ფუნქციებს ასრულებენ. მათ ახასიათებთ მოკლე სასიცოცხლო ციკლი: **ერთჯირტიები** ცოცხლობენ 120 დღე-ღამე. **გრანულოციტები** - დაახლოებით 5, **ლიმფოციტები** - რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე და **წლამდეც კი**, **თრომბოციტები** - 4 დღე-ღამემდე. სისხლის უჯრედები განუწყვეტლივ იშლებიან და იცვლებიან ახალი უჯრედებით, ასე რომ მათი რაოდენობა შენარჩუნებულია ორგანიზმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სინონიმი: **ჰემოპოეზი** (იხ.).

სისხლწარმოქმნის სტიმულატორები - სისხლწარმოქმნის პროცესის მასტიმულირებელი ნივთიერებები. ერთჯირტიანზე მასტიმულირებელ მოქმედებას ახდენს B ვიტამინი, კამპოლინი, ანტიანემინი, რკინის შემცველი პრეპარატები და სხვა. ლეიკოპოეზს ასტიმულირებენ ლეიკოგენი, პენტოქსილი, მეთილურაცილი და სხვა. იგივე ერთჯირტიანები, ლეიკოპოეზინები და ა.შ.

სიფილისი (იტალიელი პათოლოგის ჯ. ვრატასტორის პოემის გმირის სახელი, რომელიც ავად იყო ამ დაავა-

დებით) - იგივე ათაშანგი, ლუესი. ინფექციური, საყვიის შედეგებით მეტად საშიში დაავადება. მისი გამომწვევია Spirochaeta pallida. შეიძლება იყოს შექმნილი და თანდაყოლილი. შექმნილის დროს დაავადება ჯანმრთელ ადამიანს გადაეცემა სქესობრივი კონტაქტით ან საყოფაცხოვრებო კონტაქტით. საინკუბაციო პერიოდი გრძელდება 21-24 დღე-ინფექციის შეჭრიდან სიფილისის პირველი სიმპტომის, მაგარი შანკრის განვითარებამდე.

სიცოცხლე (vita) - სიცოცხლე შეიძლება განისაზღვროს როგორც სპეციფიკური სტრუქტურის შენარჩუნება და თვითგანახლება, რაც ხდება გარედან შემოსული ენერჯის ხარჯზე. ამრიგად, აუცილებელია ორგანიზმის მუდმივი კაეშირი გარემოსთან, რაც ხორციელდება ნივთიერებების და ენერჯის მიმოქცევის საშუალებით. ნივთიერებათა ცვლა წარმოდგენილია ასიმბლაციისა და დისიმბლაციის პროცესების ერთობლიობით.

სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები - ცნობილია სიცოცხლის შემდეგი ორგანიზაციის დონეები: 1. მოლეკულურ-გენეტიკური; 2. უჯრედული; 3. ორგანიზმული; 4. პოპულაციურ-სახეობრივი და 5. ეკოსისტემური.

სიცოცხლის ხანგრძლივობა - ინდივიდის (მისი ონტოგენეზის) არსებობის ხანგრძლივობა. განასხვავებენ ფიზიოლოგიური სიცოცხლის ხანგრძლივობას ანუ მაქსიმალურს ამ სახეობის ინდივიდებისათვის, ეკოლოგიურს ანუ ბუნებრივ პირობებში ინდივიდების მაქსიმალურ ასაკს და საშუალო ასაკს ანუ რომელსაც საშუალოდ აღწევენ ამ სახეობის ინდივიდები. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას ითვლიან ინდივიდების ასაკების ჯამის გაყოფით მათ რაოდენობაზე. მცენარეები ცხოველებთან

შეღარებით უფრო ღიდახანს ცხოვრობენ (საერთო აკაცია ცოცხლობს 200 წლამდე, ფიჭვი - 600, ნაძვი - 1000, მუხა - 2000, ხოლო სეკვოია - რამდენიმე ათას წელიწადს). ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა განისაზღვრება მისი ბიოლოგიური, მემკვიდრული საეისებურებებით და ცხოვრების სოციალური პირობებით.

სკალპი (ინგლ. scalp) - თმებიანი კანი, რომელსაც დამარცხებულ მტერს აძრობდნენ საეიდან (გალების, სკიფების, ინდიელების სამხედრო ტროფეი).

სკანირება (ინგლ. scanning ყურადღებით ყურება) - გამოსხივების ნაკადის სიერკობრივი გადახრა ობიექტის სხედასხვა უბნების თანმიმდევრული გამოკვლევის მიზნით. აღნიშნული მეთოდი გამოყენებულია რადიოლოგიაში, ელექტრონულ მიკროსკოპიაში და სხვა.

სკარიოშიკატი (ბერძ. scarpheus ესერაჲ, ეფხაჭნი) - მცირე ზომის ნასერი ან ნაჩხვლეტი კანზე (სამკურნალო მიზნით, ანალიზისათვის საჭირო სისხლის გამოსადენად, სხედასხვა მოქმედების ნიეთურებების ორგანიზმში შესაყვანად და სხვა, ე.წ. სკარიოკატორის საშუალებით).

სკეპტომი (ბერძ. skeptomai ექტობ, ეფიქრობ, ეწონი) - რაიმესადმი (იდეისადმი, პიროვნებისადმი, აუადმყოფობისადმი და ა.შ.) კრიტიკული, ეჭვიანი დამოკიდებულება.

სკვაამოზური კიბო (ფრანგ. squama ქერცლი) - ამ ტერმინით აღინიშნება ბრტყელუჯრედოვანი ეპითელიური ქსოვილის კიბო, სადაც ადგილი აქვს გარქოვანების პროცესებს.

სკიროზული სიმსივნე (ლათ. scirrhus) - სიმსივნური უჯრედები განლაგებულნი არიან სტრომაში ცალკეული უჯრედების ან მათი გროვების

სახით ასეთი ტიპის სიმსივნე შედგება სიმსივნური უჯრედებისაგან შემდგარი პარენქიმული და შემკერსებელი ქსოვილისაგან. ოგივე სკირო.

სკლერომატი (ბერძ. skleros მაგარი, მკერივი, enchyma აესებული) - მცენარეების მექანიკური ქსოვილი, რომელიც ემსახურება მათი ცალკეული ნაწილების გამაგრებას. შედგება თანაბრად გასქელებული გარსის მქონე უჯრედებისაგან.

სკლერიოშიკატი (ბერძ. skleros მაგარი, მკერივი, ლათ. factio კეყება) - მცენარეული უჯრედების გარსის გასქელება და მათი გახეება (ლოგნოფიკაცია), რაც ზრდის ორგანოს მექანიკურ სიმტკიცეს და შეუვალს ხდის მას სხედასხვა დაეადებების გამოშვევების მიმართ.

სკლეროდემატი (ბერძ. skleros მაგარი, მკერივი, derma კანი) - კანის ქრონიკული დაეადება. მდგომარეობს კანისა და კანქვეშა ქსოვილის გახეებაში, გამკერიებაში.

სკლეროზი (ბერძ. skleros მაგარი, მკერივი) - შემკერსებელი ქსოვილის დიფუზური ან კეროვანი ზრდა ამა თუ იმ ორგანოსა თუ ქსოვილში. შემკერიება გამოწეულია ფუნქციურად აქტიური ელემენტების დაღუყვით და მათ ნაცულად ფიბროზული შემკერსებელი ქსოვილის განეითარებით, აგრეთვე ამილოიდის, ჰიალინისა და მარილების დადექით ამ ორგანოებსა და ქსოვილებში. ამ ტერმინს იყენებენ მახსოვრობის დაქეისების აღსანიშნავადაც.

სკოლექსი (scolex) - თასმისებრი ჭიების საეი, რომელზეც განლაგებულია ნაირგვარი საფიქსაციო ორგანოები.

სკოლიოზი (ბერძ. skolios მოღუნული, გამრუდებული) - ხერხემლის

ფრონტალური გამრუდება. უფრო ხშირად შეინიშნება სკოლის მოსწავლეებში.

სკრინინგი (ინგლ. screening) - ავადმყოფების გადარჩევის მეთოდი პათოლოგიური პროცესის გამოვლენის მიზნით.

სმეგმა (smegma) - თიბო, ჩუჩის საცხი ანუ ქონი. პენისში არსებული ტისონის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი შემზუსაფი ნივთიერება, რომელსაც ექსპერიმენტში კანცეროგენური თვისებები აღმოაჩნდა. როგორც ფიქრობენ, მუსულმან და ებრაელ ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს დაბალი სიხშირე განპირობებულია მუსულმანი და ებრაელი მამაკაცების წინადაცვეთით. ამ ოპერაციის გამო, ამ უკანასკნელთა სმეგმა პენისში თითქმის არ უგროვდებათ.

სმენა (auditus) - ორგანიზმის უნარი აღიქვას ბგერა. მუხუმწოვრებში, მათ შორის ადამიანში, სმენის სისტემა პერიფერიული და ცენტრალური ნაწილებისაგან შედგება. პერიფერიული ნაწილი ბგერის გამტარ (გარეა და შუა ყური) და ბგერის მიმღებ (შიგნითა ყური, ლოკოკონა) აპარატებს მოიცავს. შიგნითა ყურში ბგერების რხევის მექანიკური ენერჯია აუდიორეკეპტორებს (ლოკოკონას წამწამოვან უჯრედებს) აგზნებს. ამ დროს ინდუცირებული ნერვული იმპულსები სმენის ნერვის საშუალებით თავის ტენში სმენის ცენტრალურ ნაწილს გადაეცემა. რის შედეგადაც სმენის შეგრძნება წარმოიშობა.

სნობი (ინგლ. snob) - ადამიანი, რომელიც თავყვანს სცემს მოდას, ცდილობს მიბაძოს ეწ. მაღალი წრის მანერებს, გემოვნებებს.

სოლოქუ (იაპონ. so) - ჯირსაგა, დოკუ (შხამი) - სპიროქეტით გამოწვეული

ინფექციური დაავადება, რომელიც გადადის ჯირსაგის კბენით. ელინდება პერიოდული კიბ-ცხელებით, ლიმფური კვანძების შესივებით, ზოგადი ინტოქსიკაციით და სხვა.

სოლომი (ბიბლიის მიხედვით, ქალაქი სოლომი და გომორა ღმერთმა დაანგრა მაცხოვრებელსა გარყვნილების გამო) - 1. ადამიანის სქესობრივი კეშირი ცხოველსა და იგივე ზოოფილა 2. პედერასტია (იხ.).

სოლომი (Fungi. Mycetes) - პეტროტროფული მცენარებისმაგვარი (ადრე მათ მცენარებს აკუთვნებდნენ უქლოოფილო, ეუკარიოტული ორგანიზმები, რომლებიც შედგებიან წყრილი, დატოტეილი ძაფებისაგან - ჰიფებისაგან და წარმოქმნიან სოკოს ვეგეტაციური სხეულს, მიცელიუმს (იხ.). უმაღლესი სოკოების ნაყოფსხეულებს ქოლგის ფორმა აქვთ. განასხვავებენ პარაზიტ და სპაროფიტ სოკოებს. მცენარების ფესვებზე წარმოქმნიან მიკორიზას (იხ.). ზოგიერთ მათგანს ადამიანი საკვებად იყენებს, ზოგიერთი კი შხამიანია. პარაზიტები იწვევენ ცხოველებისა და მცენარების სხვადასხვა დაავადებებს. ზოგიერთი უმაღლესი სოკო გამოყოფს ძლიერ ტოქსინს (მაგ., აფლატოქსინს).

სოლარიუმი (ლათ. solaris მზის, მზიანი) - სპეციალურად მოწყობილი ადგილი მზის აბაზანების მისაღებად.

სოლიდური სიმსივნე (ლათ. solidus მკვრივი) - ასეთი ტიპის სიმსივნეში ავთვისებიანი უჯრედები განლაგებულნი არიან ფენის სახით და არ გააჩნიათ სტრუქტურული ორგანიზაციის რაიმე ნიშანი ამ ტიპის სიმსივნეებში შემავრთბელი ქსოვილი პრაქტიკულად არ არსებობს.

სოლიტარული (ლათ. solus ერთი, მარტოდ დარჩენილი) - ცალკეული,

ერსეული.

სოლიტარი (ლათ. solus ერთი, მარტოდ დარჩენილი, ბერძნ. lainia ლენტი, თასმა) - ბრტყელი ჭიების ტიპის თასმისებრი ჭიების კლასის წარმომადგენელი, რომელიც პარაზიტობს ადამიანისა და ცხოველების ნაწლავებში. ადამიანი აეადდება არასაკმარისად მოხარშული ფინოზური ხორცის ჭიების შემდეგ ცნობილია ღორის, ხარის, განიერი, ჯუჯა, ექინოკოკის სოლიტერები და სხვა.

სოლუბილიზება (ინგლ. soluble ხსნადი) - კორპუსკულური ანტიგენის გადასელა ხსნად მდგომარეობაში.

სოლფუგები (Solifugae) - იგივე ფალანგები. ფეხსახსრიანების ტიპის, ობობასნაირების კლასის წარმომადგენლები, რომლებიც გაერცვლებულნი არიან ცხელ ქვეყნებში ზოგი სგრძობით 10 სმ-ია. სოლფუგებს შხამიანი ჯირკვლები არა აქვთ, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულად იკბინებიან. ამასთან ერთად, შესაძლებელია იყენენ ადამიანისა და ცხოველების სხეულის სხვადასხვა დაავადებების გადამტანები.

სომატოსტატიზმი (ბერძნ. soma სხეული, ლათ. status უძრავად დგომა) - პანკრეასის ლანგერჰანის კუნძულების D უჯრედების მიერ გამოთავებული პორმონი. იგი აბრკოლებს α და β უჯრედების მიერ ინსულინის და გლუკაგონის გამოყოფას, აგრეთვე ზოგიერთი ფერმენტის სინთეზას.

სომატური დაავადებები (ბერძნ. soma სხეული) - დაავადებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ფსიქიკურ პროცესებთან.

სომატური მუტაციები (ბერძნ. soma სხეული, mutatio (ველილება) - გენეტიკური მასალის ცვლილებები სომატურ უჯრედებში. იგულისხმება

გენური, ქრომოსომული და გენომური მუტაციები.

სომატური რიცხვი (ბერძნ. soma სხეული) - ამა თუ იმ ბიოლოგიური სახეობის სომატური უჯრედებისა და დამახასიათებელი ქრომოსომების რაოდენობა.

სომატური უჯრედები (ბერძნ. soma სხეული) - ყველა ის უჯრედი (გარდა სასქესო უჯრედებისა), რომელსაც გააჩნიათ ქრომოსომების დიპლოიდური კომპლექტი (მაგ. ნეირონი, ქეპატიციტები, ერითროციტები და სხვა).

სომნამბულიზმი (ლათ. somnus ძილი, ambulo დაეხეტები, ესეირნობ, istmus მდგომარეობა) - ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც მძინარე ადამიანი სხეულის სხვა მუქმედებას ასრულებს (მაგ. დაღის). გამოვლიძებისას ადამიანს არაფერი არ ახსოვს იგივე მთავრეულობა წინათ, ეგონათ, რომ ასეთ მდგომარეობას იწყებდა მთავრის შუქი. იხ. ლუნატიზმი.

სომნოლენცია (somnolentia) - მიდრეკილება ხანგრძლივი ძილისადმი.

სოპორი (ლათ. sopor მაგარი ძილი, გაბრუება) - ღრმა პათოლოგიური ძილი. აღინიშნება მუცლის ტიფის, პნემონიის და სხვა შემთხვევებში.

სორბცია (ლათ. sorbere შთანქვა) - მკერივი ნივთიერების ან სითხის მიერ რაიმე ნივთიერების ან გაზის შთანქვა.

სორუსი (ბერძნ. soros გროვა) - გვიმრების ფოსლების ქვემო მხარეზე განლაგებული სპორანგიუმების გროვები, რომელსაც გარს აკრავს საბურველი.

სოფიზმი (ბერძნ. sophisma) - დასკვნა, რომელიც ფორმალურად

თითქოსდა მარსებულა. სოფიზმი უჯრდობა ცნებების ორაზროვნებას, რამე მოვლენის ცალკეულ მხარეებს.

სოციალური (ლათ. socialis) - საზოგადოებრივი; დაკავშირებული საზოგადოებასთან. საზოგადოებრივი ურთიერთობებთან.

სოციოლოგია (ლათ. soci(etas) საზოგადოება, ბერძნ. logos მოძღვრება) - მეცნიერება საზოგადოებაზე.

სპაზმი (ბერძნ. spasmos კრუნჩხვა) - ობიექტური კრუნჩხვა. კუნთის ან რამდენიმე კუნთის ძლიერი, უეცარი, უნებლიე შეკუმშვა, რაც დაკავშირებულია კუნთის ტონუსის მომატებასთან.

სპაზმოლიზური მოქმედება (ბერძნ. spasmos კრუნჩხვა, lysis გახსნა) - რამე ნივთიერების, წამლის და სხვ. სპაზმის საწინააღმდეგო მოქმედება.

სპარტანული - სპარტის მოქალაქე რომლის მაცხოვრებლებიც ბავშვობიდან ეჩვეოდნენ ცხოვრების მკაცრ ჩვეულებებს და გამძლეობას. მძეტკიც გამოწრთობილი ადამიანი, რომელიც მცირედით კმაყოფილდება.

სპეკულაციური (ლათ. speculatio თვალყურის დევნება, ჭერება) - ის, რაც დაფუძნებულია სინამდვილისაგან, ცდისა და პრაქტიკისაგან განყენებულ აზროვნებაზე. მაგ., სპეკულაციური აზროვნება.

სპელაოლოგია (ბერძნ. spelain გამოქვაბული, logos მოძღვრება) - გამოქვაბულების, მღვიმეების ყოველმხრივი შესწავლა, რაც მოიცავს მათ წარმოშობას, ფორმას, განვითარებას, მიკროკლიმატს, წყლებს და ორგანულ სამყაროს.

სპერმა (ბერძნ. sperma თესლი) - მამრობითი სასქესო ჯირკვლებში გამოშვებული სპერმატოზოიდების

შემცველი სისხე ადამიანის სპერმა სპერმატოზოიდების გარდა შეიცავს ეპიდიდისის სისხეს და დამატებით სასქესო ჯირკვლების (პროსტატის და სხვა) სეკრეტს.

სპერმატომა (ბერძნ. sperma თესლი, theke დახლი, დაზვა) - რეზერვუარი, სადაც მდედრ ან ჰერმაფროდიტ უხერხემლო ცხოველებში ინახება სპერმა.

სპერმატილა (ბერძნ. sperma თესლი) - მამაკაცის სასქესო უჯრედის განვითარების ერთ-ერთი ფაზა ანუ განვითარებადი სპერმატოციტის მე-2 მეიოზური დაყოფის შედეგი. სპერმატოგენეზის შემდგომ ფაზაში სპერმატილა გარდაიქმნება სპერმატოზოიდად.

სპერმატოგენეზი (ბერძნ. sperma თესლი, genesis წარმოქმნა) - მამრობითი გამეტების, სპერმატოზოიდების წარმოქმნის პროცესი სათესლეებში.

სპერმატოგონიზმი (ბერძნ. sperma თესლი, gone შთამომავლობა, თაობა) - სათესლეების არხების კედლების ამოფენი პირველადი სასქესო უჯრედები, რომელსაც გააჩნიათ ქრომოსომების დიპლოიდური კომპლექტი.

სპერმატოზოიდები (ბერძნ. sperma თესლი) - მამრობითი სასქესო უჯრედები, გამეტები. მცენარეებში მამრობითი სასქესო გამეტებს სპერმიებს უწოდებენ.

სპერმატორმა (ბერძნ. sperma თესლი, rheo მოედინები) - სათესლე სისხის უნებლიე დენა.

სპერმატოფორები (ბერძნ. sperma თესლი, phoros მტარებელი) - ჭიების, მოლუსკების, ზოგიერთი თევზის, ამფიბიის და სხვა ცხოველების კაფსულადად შეწყებულ სპერმატოზოიდების პაკეტები, რომელსაც სხვადასხვა ფორმა გააჩნიათ.

სპერმატოტი (ბერძნ. sperma თესლი,

ketos დიდი თევზი, ეშმაკი) - კაშლოტის თავის განსაკუთრებულ ფიბროზულ ტომსიკაში (ღრუში) მოთავსებული ცვილისებური ნივთიერება. სპერმატოციტი კაშლოტს ემსახურება ექოლოკაციისათვის და შესაძლებელია ამორტიზატორის როლსაც ასრულებდეს ყენისთვის. სპერმატოციტი იყენებენ პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში კრემებისა და მალამოების დასამზადებლად, აგრეთვე კანის ზოგირით დაავადების სამკურნალოდ.

სპერმატოციტი (ბერძნ. sperma თესლი) - წყალმცენარეების უმოდრო მამრობითი ჩანასახოვანი უჯრედები, რომლებსაც არ გააჩნიათ წამწამები. წამწამების განვითარების და მოძრაობის უნარის შექმნის შემდეგ აღნიშნულ უჯრედს სპერმატოზოიდი ან ანაეროზოიდი ეწოდება.

სპერმიტი (ბერძნ. sperma თესლი) - შიშველ- და ფარულსელთან მცენარეებში: უშოლტო და პასიურად მოძრაი მამრობითი სასქესო უჯრედები.

სპერმიტი (ბერძნ. sperma თესლი) - ცხოველის სათესლე სისხიდან გამოშუშებული ორგანული ნივთიერება. მედიცინაში იყენებენ როგორც ნერეული სისტემის გამაჯანსაღებელ საშუალებას. ასეთივე მოქმედების პრეპარატებია: სპერმოლი, სპერმოკონი და სხვა.

სპექტრი (ლათ. spectrum დანახვა, მოჩვენება) - სხედასხვა ფერის ზოლი, რომელიც მიიღება პრიზმასა და სხვა გარდამტეხ გარემოში სინათლის სხივის გაყვლის დროს.

სპეციალიზაცია (ლათ. specialis განსაკუთრებული) - 1. უჯრედების დიფერენცირების უმაღლესი საფეხური, როდესაც ისინი იწყებენ მათზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას. ერიოპროციტებს, სპერმატოზოიდებს,

ნეირონებს და სხვ. მაღალსპეციალიზებულ უჯრედებს უწოდებენ. 2. ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროში სპეციალური ცოდნის მიღება.

სპეციფიკური ბალამტანუმი (ლათ. specificum თავისებურება) - ფეხსახსრიანი, რომელსა კუჭ-ნაწლავში უმარტივესები გადიან თავისი განვითარების ციკლის რაიმე ნაწილს (მაგ. კოლო ანოფელესი).

სპეციფიკური გრანულუმი (ლათ. specificum თავისებურება, granulum მარცვალი) - ნეიტროფილების მეორადი გრანულუმი, რომლებიც აზუროფილური გრანულულისაგან განსხვავდებიან უფრო დაბალი ელექტრონული სიმკერითა და ქიმიური შემადგენლობით ისინი შეიცავენ კოლაგენზას, ფაგოციტინს, ლაქტოფერინს, ლიზოციმს, ტუტე ფოსფატზას, გლიკოლიზურ ფერმენტებს და ა.შ.

სპინალური ანესთეზია (ლათ. spina წვეტი, ხერხემალი, ბერძნ. anaesthesia უგრძობლობა) - ზურგის ტერში რაიმე ნივთიერების (მაგ. ტოილგამაჟუნების) შეყვანა გაუტკივარების მიზნით.

სპირალური ტრიქინელა (Trichinella spiralis) - მრგვალი ჭიების წარმომადგენელია. იწყებს მძიმე დაავადებას ტრიქინელოზს ადამიანი ავადდება ტრიქინელიანი ლორის (ზოგჯერ დასაის) ხორცის შეჭმის შემთხვევაში.

სპირემა (ბერძნ. spirema ძაფის გორგალი) - პროფანის სტადია, როდესაც ქრომოსომები გორგლისებურად ეხვევიან ტერმინი შემოიღო მ.წ.წმწმწმ (1882).

სპირიტოზი (ლათ. spiritus სული) - წარმოდგენა გარდაკვილოდა სულეობიან კონტაქტის შესაძლებლობის შესახებ მედიუმების (იხ.) მეშვეობით.

ამ უკანასკნელთა თითოეულითა და განიხილეთ უნარი იყენებენ შუამავალნი ადამიანებსა და გარდაცვლილთა სულელებს შორის.

სპირომეტრიბა (ლათ. spiro ესუნაქე, ბერძნ. metreo ეზომავ) - ფილტვის სასიცოცხლო ტევადობის განსაზღვრის მეთოდი.

სპირომეტრი (ბერძნ. speira ხეული, chaite გრძელი ბეწვი) - პათოლოგიური ბაქტერიები, რომელთაც სპირალურად დახვეული ძვიის ფორმა აქვთ.

სპლანქნოლოგია (ბერძნ. splanchna შინაგანი ორგანოები, შინაგანობა, logos მოძღვრება) - სწავლება ადამიანისა და ცხოველების შინაგანი ორგანოების (საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი და შარდსასაქესო) შესახებ. ანატომიის ერთ-ერთი დარგია.

სპლენექტომია (ბერძნ. splen ელენსა, ektome ამოჭრა, ამოკეცა) - ელენსის ამოკეცვის ოპერაცია.

სპლენომა (ბერძნ. splen ელენსა, oma სიმსივნე) - ელენსის სიმსივნე.

სპლენომეგალია (ბერძნ. splen ელენსა, megas დიდი) - ელენსის გადიდება.

სპლინი (ბერძნ. splen ელენსა) - მკუმენარე დაარეგუნული გუნება-განწყობილება. წინათ სპლინს ელენსის დაეადებით ხსნიდნენ.

სპონგიოზასტი (ბერძნ. spongia ღრუბელი, blastos ჩანასახი) - ნეიროგლიის უჯრედული ელემენტების წარმომქმნელი უჯრედი.

სპონდილიტი (ბერძნ. spondilos მალა, itis ანთება) - ხერხემლის ერთი ან რამდენიმე მალის ანთება.

სპონდილოზი (ბერძნ. spondilos მალა, osis მდგომარეობა) - ხერხემლის დეგენერაციულ-დისტროფული ქრონიკული დაავადება, რაც ხშირად ხერ-

ხემლის მალეების უმოძრაობის მიზეზი შეიძლება გახდეს.

სპონტანური (ლათ. spontaneous თვითნებური) - რაიმე გარეგანი ფაქტორის გარეშე თავისთავად წარმოქმნილი პათოლოგიური პროცესი, პიბრიდული უჯრედი და სხვა.

სპორა (ბერძნ. spora დასესება, თესლი) - ზოგიერთი უმდაბლესი და უმაღლესი მცენარეების, პარაზიტული უმარტივესების (სპორიანების) მიკროსკოპული ჩანასახები, რომელთაც გაანიათ სხვადასხვა წარმოშობა და რომლებიც ემსახურებიან გამრავლებას და არახელსაყრელ პირობებში სახეობის გადარჩენას.

სპორადული (ბერძნ. sporadikos გაუანტული, განცალკევებული) - ერთეული, ცალკეული, შემთხვევითი, რაც დროდადრო იჩენს თავს (მაგ., ინფექციური დაავადებები).

სპორანგიუმები (ბერძნ. spora დასესება, თესლი, angeion ჭურჭელი) - უსქესო გამრავლების ერთუჯრედიანი (მრავალ უმდაბლეს მცენარეში) და მრავალუჯრედიანი (უმალეს მცენარეებში) ორგანო, რომელშიც წარმოქმნება სპორები. განასხვავებენ მკროსპორანგიუმებს (მათგან ვითარდებიან მდედრობითი ჩანასახები) და მიკროსპორანგიუმებს (ვითარდებიან მხოლოდ მამრობითი ჩანასახები).

სპორიანები (Sporozoa) - უმარტივესთა ტიპის ერთ-ერთი კლასის წარმომადგენელია. როგორც წესი, უჯრედშიდა პარაზიტებია ბინადრობენ ადამიანისა და მრავალი ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველის ეპითელიურ, სისხლის და სხვა უჯრედებში. ხასიათდებიან განვითარების რთული ციკლით, თაობათა მორიგეობით. სპორიანების კლასში გაერთიანებულია 3 რიგი: 1. კოქციდიები (იხ. კოქციდიოზი),

2 სისხლის სპორიანები (იხ. მაღარია) და 3 გრგვარინები.

სპოროგენეზი (spora დასესეა, აესლი, genesis წარმოქმნა) - სპორების წარმოქმნის პროცესი. სპოროგენეზი შეიძლება იყოს სამი ტიპის: უესპორია - როდესაც სპორები წარმოიქმნება ნორმალური მეთოზის შედეგად; ანეუსპორია - როდესაც სპორები წარმოიქმნება დარღვეული მეთოზის შედეგად და ასპორია როდესაც სპორები წარმოიქმნება მეთოზის გარეშე.

სპოროტრიქოზი (პათოგენური სოკო Sporotrichon-ის სახელწოდების მიხედვით) - სოკოს მიერ გამოწვეული დაავადება, რომელიც უმთავრესად აზიანებს კანსა და კანქვეშა ქსოვილს.

სპოროფილები (ბერძ. spora დასესეა, თესლი, phylon ფოთალი) - შეიტების, ლიკოპოდიუმების და სხვა უმაღლესი მცენარეების სახეშეცვლილი ფოთლები, რომლებზეც განვითარებულია სპორანგიუმები. სპოროფილი ეწოდება აგრეთვე წყალმცენარეების თალომის ფოთლისმაგვარ სასპორე ორგანოს.

სპოროფიტი (ბერძ. spora დასესეა, თესლი, phylon მცენარე) - მცენარეების უსქესო თაობა. ამ მცენარეების (წყალმცენარეები, გემრანაირები და სხვა) სასიცოცხლო ციკლი მიმდინარეობს სქესობრივი და უსქესო თაობების რიამშული მონაცვლეობით. სპოროფიტი წარმოქმნის სპორებს.

სრული გარდაქმნა - იგივე სრული მეტამორფოზი. მწერებში შედგება 3 ფაზისაგან. კვერცხიდან გამოიქვეყნა ლარვა (მატლი), რომელიც გარდაიქმნება ჭუპრად. შემდეგ კი იმაგოდ (იხ.). სრულ მეტამორფოზს თან ახლავს ლარვის ორგანოების და ქსოვილების დაშლა და ღრმა

ცვლილებები განვითარებადი ორგანიზმების აგებულებაში. ახასიითებთ პეპლებს (მაგ. სოფის აბრეშუმხეველას). სრული გარდაქმნა აღინიშნება ზოგიერთ ხერხემლიანში (მაგ. ამფიბიებში).

სტაბილურიობა (ლათ. stabilis მუდმივი) - მუდმივი, უცვლელი, რაც დიდხანს ინარჩუნებს განსაზღვრულ მდგომარეობას, დონეს და სხვა.

სტაგნაცია (ლათ. stagnare გაჩერება, უძრავად გახდომა) - L წყალსატევში უანებადის ბუნებრივი დეფიციტი. 2. მეცნიერების, წარმოების, ვაჭრობის ერთ წერტილზე გაყინვა.

სტადია (ბერძ. stadion სიგრძის ზომა) - დაავადების, პარაზიტის, რაიმე პროცესის განვითარების საფეხური, პერიოდი, ფაზა.

სტაზა (ბერძ. stasis დგომა, შეგუბება) - საზოგადოებრივი მწერების ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა ინდივიდები ასრულებენ მკაცრად განსაზღვრულ როლს მაგ. ფუტკრების, ჭიანჭველების, ტერმიტების სტაზა და ა.შ.

სტაზი (ბერძ. stasis შეგუბება) - სისხლის, შარდის, რძის, ნაღვლის და სხვათა შეგუბება შესაბამის სადინრებში.

სტალაგმიტიზმი (ბერძ. stalagma წვეთი) - მინერალური (უფრო ხშირად კორქოვანი) წარმონაქმნები, რომლებიც გამოქვაბულის, მღვიმის ფსკერიდან ქვეყდან ზემოთ მიემართებიან ლოლუების სახით.

სტალაქტიტიზმი (ბერძ. stalaktos მწვეთავი) - მინერალური (უფრო ხშირად კორქოვანი) წარმონაქმნები, რომლებიც გამოქვაბულის, მღვიმის სკერიდან მიემართებიან ქვემოთ, ლოლუების სახით.

სტატიკა (ბერძ. statos დამდგარი) - 1. მოსვენების და წონასწორობის მდგომარეობა (დინამიკის საწინაა-

დმდეგო ცნებაა). 2.სწავლება სხეულების წონასწორობაზე სხეუდასხეუბალების ზემოქმედების ქვეშ.

სტატისტიკა (ბერძნ. status მდგომარეობა) - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ჯანდაცვის, სოციალური განვითარების, მეურნეობის რაოდენობრივ ცვლილებებს და ამ რიცხობრივი მონაცემების გამოყენებას სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებისათვის.

სტატუსი (ლათ. status მდგომარეობა) - 1.აუადმყოფობის, საკისხის, საქმის მდგომარეობა 2.სამართლებრივი მდგომარეობა, მაგ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

სტატუს პრეზენს (ლათ. status მდგომარეობა, praesens ახლანდელი) - აუადმყოფის მდგომარეობა გასინჯვის მომენტში.

სტატუს-ჰვო (ლათ. status quo) - ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში ან დროის რომელიმე მონაკვეთში არსებული მდგომარეობა. სტატუს-ჰვოს შენარჩუნება შექმნილი მდგომარეობის უცვლელად დატოვებას გულისხმობს.

სტაფილოღერმია (ბერძნ. staphyle მტევანი, derma კანი) - კანის დაავადება, რომელსაც სტაფილოკოკი იწვევს.

სტაფილოკოკები (ბერძნ. staphyle მტევანი, kokkos მარცვალი) - დაჩრქობის გამოწვევი ბუხარისებრი ფორმის გრამ-დადებითი ბაქტერიები, რომელნიც ყურძნის მტევნის მსგავს კონფიგურაციას ქმნიან. განსაკუთრებით პათოგენურია ოქროსფერი სტაფილოკოკი.

სტატი (ლათ. statio ადგილი, მდებარეობა) - არეალის ნაწილი, რომელიც ხასიათდება ამა თუ იმ სახეობის ცხოველის არსებობისათვის აუცილებელი პირობების (რელიეფის, კლიმატის,

საკვების და სხვა) ერთობლიობით. აღნიშნული ტერმინი ახლოსაა უფრო ზოგად ცნებასთან, როგორცაა "ადგილსამყოფელი".

სტაციონარული (ლათ. stationarius უძრავი) - ამბულატორიული მკურნალობისაგან განსხვავებით, საავადმყოფოში მწოლიარე აუადმყოფის მკურნალობა.

სტეატოზი (ბერძნ. stear ცხიმი, osis მდგომარეობა) - ცხიმოვანი ინფლტრაცია.

სტეგოცეფალი (Stegocephala) - ფაეშანსაიანები. პალეოზოური ამფიბიების კრებითი სახელი. მათ მიეკუთვნებიან ლაბირინთოდონტები, ბატრაქიზაურები და სხვა.

სტეთოსკოპი (ბერძნ. stethos მკერდი, skopeo ვუყურებ) - ხის, კაუჩუკის, პლასტმასის, ლითონის ან სპილოს ძეღისაგან გაკეთებული მილი, რომლის ერთი ბოლო ძლიერ გაგანიერებულია და ყურის ნიჟარას ეხება, მეორე ბოლო კი შედარებით ვიწროა იყენებენ აუადმყოფის შინაგანი ორგანოების აუსკულტაციისათვის (მოსასმენად).

სტენოპათია (ბერძნ. stenosis ვიწრო, შემოსაზღვრული, bathos სიღრმე) - წყლის ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ მხოლოდ ერთ, მკაცრად განსაზღვრულ სიღრმეში ანუ შედარებით მუდმივი წნევის ზემოქმედების ქვეშ. სტენოპათიების ერთი ნაწილი ბინადრობს სახელ წყალში (ლიტორალები), სხვები კი დიდ სიღრმეებში (აბისალური ფორმები). წყნარი ოკეანის ზღვის ვარსკელავას ერთ-ერთი სახეობა ბინადრობს მხოლოდ 4500-5100 მეტრ სიღრმეებში.

სტენოპიონტები (ბერძნ. stenosis ვიწრო, შემოსაზღვრული, biontos მცხოვრები) - მცენარეები და ცხოვე-

ლები, რომლებიც თავისი არსებობისათვის საჭიროებენ გარემოს შედარებით მუდმივ პირობებს (საერის ტენიანობის, ატმოსფერული წნევის, ტემპერატურის და სხვათა მცირე ცვლილებებს).

სტენოზალეზი (ბერძნ. stenosis ვიწრო, შემოსაზღვრული, hals მარლი) - ორგანიზმები, რომელთაც ძალუძს გაუძლონ საცხოვრებელი გარემოს მარილიანობის და საერთო ქიმიური შემადგენლობის მხოლოდ მცირე ცვლილებებს. ჩვეულებრივ, ოგული-სხმებიან წყლის ბინადრები: ცქერიანა, კარჩხანა, ჭანარი, ზოგიერთი მეღუზა და ქაშაყი.

სტენოზი (ბერძნ. stenosis ვიწრო, osis მდგომარეობა) - ღრუ ან მილიანი ორგანოების დაევიწროება, რაც აქვეყნებს მათ მოქმედებას (მაგ., პილორუსის, საყლაპავი მილის, აორტის და სხვათა სტენოზი).

სტენოთერმეზი (ბერძნ. stenosis ვიწრო, thermos თბილი) - ორგანიზმები, რომლებიც ვერ იტანენ ტემპერატურის ცვლილებებს და ცხოვრობენ სტაბილური ტემპერატურის პირობებში განსხვავებენ თერმოფილებს (სითბოს-მოყვარულ ფორმებს) და კრიოფილებს (სიცივისმოყვარულ ფორმებს).

სტენოკარდია (ბერძნ. stenosis ვიწრო, kardia გული) - მწვავე ტკივილის შეტევა გულის არეში. ოგევე გულის ანგინა.

სტენოფაგია (ბერძნ. stenosis ვიწრო, phagos მშთანქმელი) - ცხოველების მიერ ერთგვაროვანი (მონოფაგია) ან შეზღუდული რაოდენობის (ოლიგოფაგია) საკვების მიღება.

სტენოფოტეზი (ბერძნ. stenosis ვიწრო, phos სინათლე) - მცენარეები და ცხოველები, რომლებიც მოათხოვენ განათების ვიწროდ განსაზღვრულ

ინტენსიობას.

სტენოპალმეზი (ბერძნ. stenosis ვიწრო, hals მარლი) - ორგანიზმები, რომლებიც შეგუებული არიან განსაზღვრული მარილიანობის წყალსატევებსა და ნიადაგს (მედუზები, ღორჯო და სხვა).

სტენოპრობიონტიზმი (ბერძნ. stenosis ვიწრო, hygos ტენიანი, bios სიცოცხლე) - ცხოველები, რომელთა არსებობისათვის საარსებო გარემოში აუცილებელია განსაზღვრული ტენიანობა.

სტენტი (ბერძნ. stenosis ვიწრო) - ინდიფერენტული მასალისაგან შექმნილი რგოლი, რომელსაც ათავსებენ სისხლძარღვში (სორტაში, კორნარულ არტერიებში) სტენოზის თავიდან ასაცილებლად.

სტენტორი - ლამპროსის ერთერთი გმირის სახელის მიხედვით - ადამიანი ძალიან ძლიერი ხმით. 2მტკნარი წყლის ბინადარი ნაორწანწამიანი ინფუზორია (Stentor polymorphus). ოგევე საყვირა.

სტეპი - ოგევე ეელი. დამახასიათებელია აშშ-ის დასავლეთის არგენტინის, რუსეთის და სხვა შიდა რაიონებისათვის. მცენარეებიდან სტეპებისათვის დამახასიათებელია ბალახები და ბუჩქნარი, თუმცა ზოგ შემთხვევებში გვხვდება ხეებიც. ცხოველებიდან გვხვდებიან ბიზონები, ანტილოპები, ზებრები, ბოცვერები და სხვა. ფრინველებიდან უნდა აღინიშნოს ტოროლები, მიმინოები და სხვა.

სტერეოზიზმი (ბერძნ. stereos სიერცობრივი, მყარი, genesis შეცნობა) - ხელის შეხებითი საგნების შეცნობის უნარი.

სტერეოტიპი (ბერძნ. stereos სიერცობრივი, მყარი, typos ანაბეჭდი) - ცალკეული პირობითი რეფლექსების

განხორციელების შედარებით მყარი სისტემა. რომელიც ეფუძნება უმაღლესი ცხოველების და ადამიანის საეის ტენის უნარს უზრუნველყოს ორგანიზმის ზუსტი და დროული საპასუხო რეაქცია ჩვეულ, განსაზღვრული სანმიმდევრობის განმეორებად გამლიზანებლებზე.

სტერეოტიპია (ბერძნ. *stereos* სიერცობრივი, მყარი, *typos* ანაბეჭდი) - მოძრაობის, უესტის, პოზის, სიტყვისა და სხვ. მექანიკური გამეორება.

სტერეოქიმი (ბერძნ. *stereos* სიერცობრივი, მყარი, *chemeia* ქიმია) - ქიმიის დარგი, რომელიც სწავლობს მოლეკულებში ატომების სიერცობრივ მდებარეობას და განლაგებას.

სტერილიზაცია (ლათ. *sterilis* უნაყოფო) - მკროორგანიზმების მოსპობა გამობარშეთა, ფილტრაციით, ქიმიურ ნიეთიერებათა ზემოქმედებით (რძის სტერილიზაცია, შპრიცის სტერილიზაცია). 2. ადამიანისა და ცხოველების განაყოფიერების უნარის მოსპობა ოპერაციის საშუალებით ან რადიოაქტიური დასხიებით.

სტერილური ცხოველები (ლათ. *sterilis* უნაყოფო) - ცხოველები, რომლებიც თავისუფლები არან ყველა მკროორგანიზმისაგან. ასეთი ცხოველები გამოიყენებან იმუნოლოგიაში, ბაქტერიოლოგიაში, ეირუსოლოგიაში და ექსპერიმენტული ბიოლოგიის. მედიცინისა და ეტერინარიის სფეროებშიც. ჩენი საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა - გნოტობიოლოგია (იხ.). სტერილური ცხოველის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაბადებამდე სტერილური იყო და მას საშეილოსნოდან ამოიყვანენ სტერილურ პირობებში. იგივე გნოტობიონტები.

სტერნული პუნქცია (ბერძნ. *sternon* მკერდის ძვალი, *punctio* ჩხელეტა, პუნქცია) - მკერდის ძვლის ჩხელეტის წითელი ძვლის ტენის უჯრედოვანი შედგენილობის განსაზღვრის მეთოდი.

სტერტორი (ბერძნ. *stertera* ხერხეა) - პირლია ძილის დროს მეტ-ნაკლებად გამოხატული ხმაური ხერხეა.

სტიგმა (ბერძნ. *stigma* ლაქა, ნახელეტი) - 1. მოლტიანების კლასის ზოგიერთი წარმომადგენლის სინათლისადმი მგრძობიარე ორგანეა. 2. ფესხასხრიანებში, მაგ., მწერებში - ხერელი, რომლითაც სხეულის ზედაპირზე სუნსქეის ორგანოები (ტრაქეა) იხსნება. 3. ასციდიების (უმდაბლესი ქორდიანების) ხახაში არსებული ლაყუჩის ხერელი.

სტიმული (ლათ. *stimulus* ნესტარო, დეზი, სახრე) - წამქეზებელი მიზეზი, წამქეზება რაიმე მოქმედებისადმი; დანტერესება რაიმეს მიმარს.

სტიპენდია (ლათ. *stipendium* საფასური) - რეგულარული ფულადი დახმარება.

სტომატოცი (ბერძნ. *stoma* პორტიკი, ათენში გაღერეა კოლონებით, სადაც ასწავლიდა ძველებერძენი ფილოსოფოსი ზენონი) - ანტიკური საზოგადოების ფილოსოფიური მიმარსულება. სტომატოციზმის მიხედვით, ბრძენის, სტომატოსის ამოცანაა განსაყისუფლდეს ენებებისაგან და ლტოლვებოსაგან და იცხოეროს გონებიდან გამომდინარე.

სტოლონი (ლათ. *stolonis* შსამომავალი, ფესვის ყლორტი) - მცენარის მიწისქვეშა ან მიწისზედა წერილი, სახე შეცვლილი, პორიზონტალური ყლორტი, გრძელი მუხლსაშორისების, ქრცლოვანი, უფერო, უფრო იშვიადად კი მწვანე ფერის ფოთლებითა ფესურე-

ბისაგან განსხვავებით, სტოლონები დღემოკლენი არიან და ემსახურებიან მხოლოდ ევგეტაციურ გამრავლებას და გაერცელებას.

სტომატოლოგია (ბერძ. stoma პირი, logos მოძღვრება) - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს კბილების, პირის ღრუს, ყბებისა და სახის დაავადებებს.

სტომატოპროზა (ბერძ. stochasis მიხედვით) - იმ პროცესის შემთხვევითობა, რომლის მსვლელობის დროსა და ხასიათის ზუსტი განსაზღვრა პრინციპულად შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი წარმოქმნის ან სხვადასხვაგვარი განვითარების შესაძლებლობის პროგნოზირება. მაგ., სტოქასტურ პროცესებს მიეკუთვნება ლემინგების, ციყვების და სხვა ცხოველების მასიური გასახლება.

სტრანგულაცია (ლათ. strangulatio დახრობა) - ნაწლავების გაძლიერებული პერისტალტიკის დროს ნაწლავის მარყუჟის ჩაჭედვა. 2. სასუნთქი გზების შევიწროება. 3. ბუნების ცხოველების დაღუპვა მათზე დასახლებული უმდაბლესი ცხოველების (მაგ., მარჯნის პოლიპების) სიმძიმის გამო.

სტრატეგია (ბერძ. stratos მხედრობა, agos მიმყავს) - საერთო გეგმა. სამა თუ იმ დაავადების მკურნალობის ხელოვნება, წარმართვა. 2. მეცნიერება ომის მომზადებასა და წარმართვაზე.

სტრატოფორია (ლათ. stratum ნაფენი, დაფენა, facere კეთება) - აესლების აესეისწინა დამუშავება, რაც მდგომარეობს მათ შენახვაში სველ ქვიშაში, დაბალ, მაგრამ დადებით ტემპერატურაზე გამოიყენება აესლების გაღივების, აღმოცენების დასაქარებლად.

სტრატოსფერო (ბერძ. stratum

ნაფენი, დაფენა, sphaira სფერო) - ატმოსფეროს ერთ-ერთი შრე, რომელიც განლაგებულია ტროპოსფეროს ზედა, 100 კმ-ის სიმაღლეზე ამ შრეში, 15-35 კმ-ის სიმაღლეზე თავისუფალი უანგბადი მზის რადიაციის გავლენით გარდაიქმნება ოზონად და წარმოქმნის ეკრანს, რომელიც არეკლავს ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამღუპველ კოსმოსურ გამოსხივებებს.

სტრეპტოკოკები (ბერძ. streptos ძეწკვი, kokkos მარცვალი) - პათოგენური მრგვალი ფორმის ბაქტერიები, რომლებიც ძეწკვისებურ გაერთიანებებს ქმნიან.

სტრეპტომიცინი (ბერძ. streptos ძეწკვი, mykes სოკო) - ძლიერი ანტიბიოტიკი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურია გრამ-უარყოფითი ბაქტერიების, განსაკუთრებით კი ტუბერკულოზის გამომწვევის მიმართ. აღმოაჩინა ამერიკელმა მიკრობიოლოგმა ზა.პაპ-სმანმა ეს პრეპარატი გამოიყო 1943 წელს აქტინომიცეტებიდან.

სტრესი (ინგლ. stress დაძაბვა, დაჭიმულობა) - ძლიერი გამღიზიანებლის მოქმედების შედეგად ორგანიზმში წარმოქმნილი დარღვევა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს რაღაც დაკვირვება რეაქციების კომპლექსი - ადაპტაციური სინდრომი.

სტრესორი (ინგლ. stress დაძაბვა, დაჭიმულობა) - ფაქტორი, აგენტა, რომელიც იწვევს სტრესს (იხ.).

სტრიქტურა (ლათ. strictura შეკუმშვა) - საყლაპავი მილის შარდსადენის და სხვ. დაევიწროება ნაწიბურის განვითარების შედეგად. ოგივე სტრენობა (იხ.).

სტრობილატია (ლათ. strobile სხეული) - სასმისებური ჭიების სხეულის დანაწევრება ერთგვაროვან სეგმენტებად, პროგლოტილებად პროგ-

ლოტიდებიდან შემდგარ სხეულს სტრომაბილა ეწოდება.

სტრომა (ბერძნ. stroma ხალიჩა) - ორგანოს, ქსოვილების, უჯრედების ნებისმიერი საყრდენი სტრუქტურა.

სტრუმა - იხ. ჩიყვი.

სტრუმაქტომა (ლათ. struma ჩიყვი, ბერძნ. ektome ამოკეცა) - ფარისებრი ჯირკელის ამოკეცა.

სტუპორი (ლათ. stupor გაშეშება, გაშტერება) - სრული მოტორული შეკეცვა, გარეშე გალიზინებაზე რეაქციის უქონლობა. ფსიქომოტორული დასრგუნვის გამო ავადმყოფი უძრავ მდგომარეობაშია.

სუბაქვალური (ლათ. sub ქვეშ, ქვეითი, aqua წყალი) - ნაწლავების აბაზანა, შხაბი, ოყნა. ე.წ. ღრმა ოყნა.

სუბდომინანტი (ლათ. sub ქვეშ, ქვეითი, dominans გაბატონებული) - ამა თუ იმ ბიოცენოზში თავისი მნიშვნელობისა და რიცხოვნობის მიხედვით მეორე სახეობა დომინანტის შებდე.

სუბიექტური (ლათ. subjectum პიროვნება, სუბიექტი) - მხოლოდ გარკვეული პირის, სუბიექტისათვის დამახასიათებელი; ცალმხრივი, მიკრობიოებელი.

სუბლიმინური მიელოზი (ლათ. sub ქვეშ, ქვეითი, ბერძნ. leukos თეთრი, haima სისხლი, myelos ძელის ტენი) - მიეკუთვნება ქემობლასტოზების ჯგუფს ელინდება მიელოპროლიფერაციული ტიპის პანმიელოზის ან მიელომეგაკაროციტური მიელოზის, მიელოფიბროზის და ოსტეომიელოსტეოზის ადრეული განვითარებითა და ა.შ. უფრო ხშირად ახასიათებს კეთილთვისებიანი, მრავალწლიანი მიმდინარეობა.

სუბლექტალური ღოზა (ლათ.

sub ქვეშ, ქვეითი, letalis სასიკვდილო, ბერძნ. dosis ულუფა, ჯერი) - 1. რაიმე ფაქტორის ნახევრად ლეტალური დოზა, რომელიც იწვევს ექსპერიმენტული ცხოველების დაღუპვას 50% შემთხვევაში (LD₅₀). 2. გენი, რომელიც არ იწვევს ინდივიდის უცვარ დაღუპვას, არამედ ძლიერ აქვეითებს მის სიცოცხლისუნარიანობას.

სუბლიმაცია (ლათ. sublimare მაღალ რამეზე აყვანა, განდიდება) - გახურების შედეგად მკეროვი ნივთიერების უშუალო გადასვლა გაზში, თხიერი სტადიის გაელის გარეშე.

სუბგეატანტრული ქრომოსომატი (ლათ. sub ქვეშ, ქვეითი, ბერძნ. meta შემდეგ, ლათ. centrum ცენტრი) - არასანაბარმხრებიანი ქრომოსომები, რომელთა ცენტრომერები განლაგებულია მხრების ბოლოებთან ახლოს.

სუბორდინაცია (ლათ. sub ახლო, იქვე, ქვეითი, ordinatio წესრიგში მოყვანა) - დაქვემდებარება. უფროს-უმცროსობის დაცვა სამსახურობრივი დისციპლინის წესებთან შესაბამისად.

სუბსტანცია (ლათ. substantia არსი) - ნივთიერება; საფუძველი, არსი ყველა საგნის თუ მოვლენისა.

სუბსტიტუტი (ლათ. substitutus სანაცვლოდ მოტანილი) - შემცვლელი ან ახალი საწარმოო პროდუქტი, რომელიც ცელის არსებულ პროდუქტს.

სუბსტრატო (ლათ. substratum საფენი) - ნივთიერება ან საგანი, რომელზეც მიმაგრებულნი არიან ორგანიზმები. 2. ნივთიერება, რომელზეც მოქმედებს ესა თუ ის ფერმენტი.

სუბტილური (ლათ. subtilis) - ნაზი, სუსტი, მსხერვეადი.

სუბტროპიკები (ლათ. sub ქვეშ, ქვეითი, ბერძნ. tropikos მოსაბრუნე

წრე) - დედამიწის ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონა, რომელსაც შუალედური მდებარეობა უკავიათ ტროპიკულ და ზომიერ სარტყელებს შორის.

სუბფებრილიტი (ლათ. sub ქვეშ, ქვეითა, febris ცხელება) - მცირედ, ხანგრძლივი დროით მომატებული სხეულის ტემპერატურა.

სუბფოსილური (ლათ. sub ქვეშ, ქვეითა, fossilis ნამარხი) - ტერმინი გამოყენებულია მცენარეებისა და ცხოველების არც თუ დიდი ხნის ნამარხების აღსანიშნავად, რის გამოც ორგანული ნივთიერებების მინერალური ჩანაცვლება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

სუბსტია (ლათ. suggestio შთაგონება) - მკურნალობის პერიოდი, ექიმის გარკვეული ფსიქიკური ზემოქმედება აუადმყოფზე ან აუადმყოფისა ჯგუფზე.

სუტიდი (ლათ. suus თავისი, caedo კელა, ხოცვა) - თევთმკვლელობა.

სუტიდიური (ლათ. suus თავისი, caedus კელა, ხოცვა) - თევთმომაკვდი-ბეღლი.

სუკულენტები (ლათ. succulentus წინანი) - მრავალწლიანი მცენარეები წინანი ფოთლებით (აგავა, ალოე) ან ყლორტებით (ზოგიერთი კაქტუსი და სხვა).

სუკცესია (ლათ. successio დამეკვიდრება) - ერთი ტიპის ეკოსისტემის (ბიოცენოზები, ფიტოცენოზები და ა.შ.) მორეუთი თანდათანობით შეცვლა (არჩევენ ავტოგენურ, ედაფოგენურ, ანაროპოგენურ და სხვა ტიპის სუკცესიებს).

სუნთქვა (respiratio) - ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების ერთობლიობა, რის დროსაც ხდება ატმოსფეროდან ჟანგბადის მიღება და ნახში-

რორჟანგის გამოყოფა. ორგანიზმების აბსოლუტური უმრავლესობა (აერობები) სუნთქვისათვის იყენებს ატმოსფერულ ჟანგბადს, მცირე ნაწილი კი (ანაერობები) ცოცხლობენ უჟანგბადო გარემოში.

სუნიანი ჰირაქლები - მკვეთრი სუნის მქონე ნივთიერების გამოყოფი ჯირკვლები. მათი ფენქციებია: საედაცვა (მაგ. ამერიკული სკუნსი, მარე და სხვა), საწინააღმდეგო სქესის ინდივიდის მოზიდვა, ტერიტორიის მონიშვნა და ა.შ.

სუპერინფექცია (ლათ. super ზე, მეტი, infectio დასენიანება) - განმეორებითი დასენიანება იმავე მიკროორგანიზმებითა, როცა პირველადი ინფექცია ჯერ კიდევ არ დამსაერებულა.

სუპერრეპლიკაცია (ლათ. super ზე, მეტი, ინგლ. replication ასლის წარმოქმნა) - რომელიმე მოლეკულის (მაგ. დნმ-ს) ან ეირუსის განსაკუთრებული ინტენსიურობით გამრავლება.

სუპოზიტორიუმი (ლათ. suppositorius შემცველი, ყალბი) - წამლის ფორმა მცირე ზომის კონუსების სახით (სანაილი). გამოიყენება სწორ ნაწლავში შესაყვანად.

სუპარაინალური (ლათ. supra ზემოთ, ზე. ren თარკველი) - თარკველზედა.

სუპრესია (ლათ. suppressio დასარგუნება) - რაიმე პროცესის (მაგ. იმუნოლოგიური რეაქციების) დასარგუნვა.

სუპრესორები (ლათ. suppressio დასარგუნება) - T-ლიმფოციტების ერთერთი პოპულაცია, რომელიც სარგუნავს სხვა იმუნოკომპეტენტური უჯრედების (კერძოდ, T-ჰელპერების) ფუნქციურ აქტივობას.

სუპრესორული ბენი (ლათ. suppressio დასარგუნება) - გენი, რომელიც

ახშობს სხვა, არაალელური გენის მოქმედებას ასეთ გენს ინჰიბიტორსაც უწოდებენ ამ მოვლენას ადგილი აქვს ეპისტაზის (იხ.) დროს.

სურავანდი (scorbutus) - ოგივე სკორბუტი. C ვიტამინის ნაკლებობის გამოწვეული დაავადება.

სურდიტასი (ლათ. surditas) - სმენის დაქვეითება ან სრული დაკარგვა.

სურდოპაპერა (ლათ. surdus ყრუ, camera ოაღი, ოთახი) - ოთახი ბერა-შეულწევადი კედლებით.

სურდოპადაგოგიკა (ლათ. surdus ყრუ, ბერძნ. paidagogike) - პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ყრუ-მუნჯი, დაწყობილი და სმენადაქვეითებული ბავშვებისა და მოზარდების აღზრდის, განათლებისა და სწავლების საკითხებს.

სურობატი (ლათ. surrogatus შემცვლელი) - 1. საგანი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის სხვა საგანს (მაგ. საქარინი შაქრის ნაცვლად). 2. ფალსიფიცირებული პროდუქტი.

სუსპენზია (ლათ. suspensio ჩამოკიდება) - ორი ან მეტი ნივთიერების ნარევი, რომელთაგან ერთ-ერთი (მკერვი) უმცირესი ნაწილაკების სახით განაწილებულია მეორეში (სითხეში), შეწონილ მდგომარეობაში. მაგ. მღერივ წყალი, რომელშიც შეწონილ მდგომარეობაშია თიხის, ლამის და სხვ. უმცირესი ნაწილაკები.

სუსპექცია (ლათ. suspexcio) - ეჭვი.

სფაგნუმი (Sphagnum) - ტორფის ხავსი.

სფეროქალასტი (ბერძნ. sphaira ბუშტი, ბურთი, plastos გამოძერწილი) - ბაქტერიული უჯრედი, რომელსაც მულიანად ან ნაწილობრივად აქვს დაკარგული უჯრედის კედელი.

სფიგმოვანომიტრი (ბერძნ. sphygmos მაჯისცემა, manos იშვიათი, metreo ეზომავ) - სისხლის წნევის გამოსაკვლევი ხელსაწყო.

სფინქტერი (ბერძნ. sphynco უუკერ) - რგოლისებრი კუნთი, რომელიც იკუმშება და ამით ახშობს ან ავიწროებს მილისებრი ღრუ ორგანოს გასასვლელს (მაგ. სწორი ნაწლავის სფინქტერი).

სქემა (ბერძნ. schema ფორმა, გარეგნული შესახედობა) - გამარტივებული ნახაზი, რომელიც გამოხატავს რაიმე სისტემას, მოწყობილობას, ნაწილების ურთიერთმიმართებას; რაიმეს გადმოცემა, აღწერა ზოგადად, ძირითადი შტრიხებით.

სქესი (sexus) - ინდივიდის მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების ერთიანობა, რაც განსაზღვრავს მის როლს განაყოფიერებაში. მამაკაცის და ქალის სასქესო უჯრედების შერწყმის შედეგად წარმოიქმნება ზოგადად შემდეგ კი ვითარდება ახალი ორგანიზმი. ზოგადად გაურთაუნებელია დედის და მამის გამეტების ქრომოსომების ორი ჰაპლოიდური კომპლექტი.

სქესის განსაზღვრის პრობაული ტიპი (ბერძნ. pro შინ, ნაცვლად, gamos ქორწინება) - ჩანასახის სქესის განსაზღვრა გამეტების მოწიფების პროცესში, ე.ი. განაყოფიერებამდე ახასიათებს კეკლებს, ფრინველებს და ა.შ. იხ. პეტერო-, ჰომო-გამეტურობა.

